

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო,
პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია

1918-1921 წლებში

ნიკოლოზ სეფიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის

საერთაშორისო სკოლა აისეტი (ISET)

„მიწის კერძო საკუთრება, სავაჭრო-სამრეწველო მოქმედების თავისუფლება, წარმოების განვითარება, სამეურნეო ბაზრისა და სამუშაოს უზრუნველყოფა - აი მთავარი საგლებო ეკონომიკური მოთხოვნები“.

ნოე ჟორდანიას „ჩვენი ტაქტიკა“

წინათქმა

2018 წელს საქართველოს პირველ რესპუბლიკას 100 წლის იუბილე შეუსრულდა. ამ მნიშვნელოვან ისტორიულ დღესთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გამოცხადდა სტუდენტური კვლევითი პროექტი - „საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის კვლევა“.

ამ კვლევის მიზანია 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი საკითხების შესწავლა, დასკვნების გამოტანა და გაანალიზება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩვენ, პროექტში მონაწილე სტუდენტები, გავეცანით საისტორიო ფონდებიდან დოკუმენტების გამოწერისა და ეროვნულ არქივში დაცულ სახელმწიფო მასალებთან მუშაობის სპეციფიკას.

ეს პროექტი შესანიშნავი შესაძლებლობაა ახალგაზრდა სტუდენტების წასახალისებლად.

2-თვიანი მუშაობის შედეგად განმვიტარდა მკვლევრის საძიებო უნარ-ჩვევები, ვისწავლე შეზღუდულ დროში სწრაფად და ამავდროულად ეფექტიანად ფონდების საქმეთა იმ პირველწყაროების მოიძიება, დამუშავება და გაანალიზება, რომლებიც იყო საჭირო ჩემი კვლევისთვის.

ამ პერიოდში გავეცანით ეროვნულ არქივში მუშაობის პრინციპებს და ვისწავლეთ ფონდებთან მუშაობის სპეციფიკა.

მინდა მადლობა გადავუხადო ეროვნულ არქივში მომუშავე ყველა იმ თანამშრომელს, რომლებიც გვეხმარებოდნენ ორთვიანი მუშაობის პროცესში საჭირო ფონდებიდან მასალების მოძიებაში.

სტუდენტების მიერ საკუთარი ნებით არჩეული შესასწავლი თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი, ერთმანეთისგან განსხვავებული, თუმცა, ამავე დროს, ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვული გამოდგა. ჩემი საკვლევი თემატიკა საქართველოს ეკონომიკა და ფინანსებია, კერძოდ საქართველოს პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია და მასთან დაკავშირებული გამოწვევები, ხოლო სხვა მონაწილეთა საკვლევი ობიექტები საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო და საგანმანათლებლო სფერო აღმოჩნდა.

ჯამში, ამ პროექტში მონაწილე სამივე სტუდენტის კვლევები ეკონომიკური, სამხედრო და საგანმანათლებლო კუთხით ერთმანეთს ავსებს და ლოგიკურად აკავშირებს, რაც უფრო საინტერესოს ხდის მთლიანად კვლევის დასრულების შემდეგ მიღებულ ნაშრომს.

შესავალი

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. მონარქია ჩაანაცვლა რუსეთის დროებითმა მთავრობამ, რომელმაც კავკასიის რეგიონის მართვა-გამგეობისთვის შექმნა სპეციალური ადმინისტრაციული ორგანო - ოზაკომი (ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, Особый Закавказский Комитет, ОЗАКОМ), ოზაკომის შტაბბინა ქალაქ თბილისში მდებარეობდა.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად კავკასიის რეგიონში არსებობა შეწყვიტა ოზაკომმაც.

რუსეთის დროებითი მთავრობისა და კავკასიის რეგიონში ოზაკომის გაუქმებასთან ერთად გაწყდა კავკასიის პოლიტიკური კავშირი ბოლშევიკურ რუსეთთან. ბოლშევიკებმა პოლიტიკური დევნა და ომი გამოუცხადეს საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე მყოფ სხვა პოლიტიკურ ძალებს. ასეთ ვითარებაში კავკასიის რეგიონში არსებული პოლიტიკური ძალების თანამშრომლობა საბჭოთა ბოლშევიკურ რუსეთთან შეუძლებელი გახდა.

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში ჩატარდა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ბოლშევიკები, სოციალ-რევოლუციონერები, სოციალ-ფედერალისტები, დაშნაკელები, მუსავატელები; ასევე ჯარისკაცთა სამხარეო საბჭოს, თბილისის საბჭოს, პროფესიულ კავშირთა და კოოპერატივთა წარმომადგენლები. თათბირზე გადაწყდა რუსეთისგან გამოყოფა და ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის შექმნა.

1917 წლის 19 ნოემბერს ოპერის თეატრში ჩატარდა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანიას, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. სიტყვაში იგი განმარტავდა ყრილობის მოწვევის მიზეზებს: „დღეს მთელი რუსეთი და თითქმის მთელი ევროპა განიცდის ძველი ცხოვრების ეკონომიკურ, ნაციონალურ და პოლიტიკურ ცხოვრების დანგრევის დიდ მომენტს და ჩვენ ვშიშობთ აბოზოქრებული ცხოვრების ზღვის ტალღამ ჩვენ არ ჩაგვიტანოს რღვევის მორევში. ჩვენ პატარა ერი ვართ და ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, რომლის ახლოს გაჭიმულია დიდი საომარი ფრონტი, ამიტომ გვმართებს დიდი სიფრთხილე; გარდა ამისა, რუსეთში გაჩაღდა სამოქალაქო ომი, დღეს არ არსებობს ცენტრალური

მთავრობა და რუსეთთან ჩვენი პატარა ქვეყნის კავშირი თითქმის სავსებით გაწყდა. ამნაირად, ერთის მხრით, ჩვენს ახლოს დიდი საომარი ფრონტი არსებობს, ხოლო, მეორეს მხრით, რუსეთთან კავშირის გაწყვეტა გვავალებს ჩვენს თავს მივხედოთ, ჩვენს თავს ვუპატრონოთ (ტაშის ცემა). ამ ნიადაგზე შეერთდა ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები (ტაშის ცემა) და სთქვეს, ჩვენში არის გადასაჭრელი ორი კითხვა და საჭიროა მათ გარშემო როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური ძალების გაერთიანება. პირველი კითხვა ჩვენი ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა და მეორე კითხვა - შექმნა იმ საფუძვლისა, რომელზედაც აგებული იქნება ჩვენი ხალხის თავისუფალ კულტურული განვითარების შენობა. დღევანდელმა ეროვნულმა ყრილობამ ამ შენობას ერთი ქვა უნდა დაუდგას საფუძვლად¹.

ეროვნულ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 348 დელეგატი, შეიქმნა 9 სექცია სხვადასხვა მიმართულებით სამუშაოდ:

1. ეროვნულ საკითხთა სექცია
2. საერო რეფორმების სექცია
3. ჯარის ნაციონალიზაციის სექცია
4. სკოლა და უნივერსიტეტის სექცია
5. ადმინისტრაციის სექცია
6. იუსტიციის სექცია
7. საფინანსო სექცია
8. სასურსათო სექცია
9. თავად-აზნაურთა ქონების საკითხის სექცია²

საფინანსო სექციას თავმჯდომარეობდა ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე.

1917 წლის 21 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანიას, ხოლო მოადგილედ - აკაკი ჩხენკელი. ამავდროულად, 1917 წლის 15 ნოემბერს, ფუნქციონირება დაიწყო ამიერკავკასიის კომისარიატმა, რომელიც რეგიონის სამხარეო ხელისუფლების როლს ასრულებდა.

ჯერ კიდევ ოზაკომის მმართველობის პერიოდში შეინიშნებოდა ფულადი ნიშნების დეფიციტი, რაც გამოწვეული იყო რუსეთში შექმნილი არასტაბილური სიტუაციით. 1914-1918 წლებში პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეულ მწვავე ეკონომიკურ-სოციალურ პრობლემებს თან დაერთო რევოლუცია და შემდგომ ამისა მრავალწლიანი სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი.

¹ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/საქართველოს_ეროვნული_ყრილობა.

² საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/საქართველოს_ეროვნული_ყრილობა.

რუსეთში არსებული მწვავე ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები ნეგატიურად აისახა კავკასიის რეგიონზეც.

ოქტომბრის რევოლუციამდე კავკასიის რეგიონი ფორმალურად ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი რუსეთიდან, იგი ემორჩილებოდა რუსეთის დროებითი მთავრობის დადგენილებებს, იღებდა საკრედიტო ფულად ერთეულებს რუსეთის სახელმწიფო ბანკისგან, თუმცა დროთა განმავლობაში ფულის მიღება საგრძნობლად გართულდა; ძირითადად თბილისში არსებული რუსეთის სახელმწიფო ბანკის კანტორა მსხვილი კუპიურის რუსულ მანეთებს იღებდა, ხოლო მისი წვრილად დახურდავება და ხალხის მასაში გავრცელება ჭირდა.

საზოგადოებაში გამეფებული ამ მწვავე პრობლემის მოსაგვარებლად, იმისთვის რომ სამომხმარებლო ხმარებაში ყოფილიყო სათანადო რაოდენობის ხურდა ფული, ოზაკომმა გადაწყვიტა გამოეშვა თბილისში ქალაქის ფულის წვრილი კუპიურები: მანეთიანი, სამმანეთიანი, ხუთმანეთიანი და ა.შ., რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებოდა რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში არსებული მსხვილკუპიურიანი ქალაქის ფულებით; თუმცა მალე თბილისში არსებული რუსეთის სახელმწიფო ბანკის კანტორას მსხვილკუპიურიანი ქალაქის ფულები შემოეხარჯა, რასაც რუსეთში ხელისუფლების გადატრიალება და ბოლშევიკების მოსვლაც დაერთო თან. იმის მოლოდინი, რომ თბილისის ფულის ახალ პარტიას ისევ რუსეთის მთავარი სახელმწიფო ბანკისგან მიიღებდა, სრულებით გაქრა.

თვალნათლივ დადგა საკუთარი ფულის გამოშვების აუცილებლობის საკითხი. გასაგები იყო, რომ საქართველო, ისევე როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი, ვეღარ მიიღებდა ფულს რუსეთის სახელმწიფო ბანკისგან, შესაბამისად, საჭირო იყო დამოუკიდებლად საკუთარი ფულადი ნიშნების გამოშვება. საწყის ეტაპზე უნდა მომხდარიყო დროებითი ფულადი ნიშნების - ბონების - ემისია, სანამ რეგიონში სიტუაცია არ დასტაბილურდებოდა, რათა შემდგომ სახელმწიფო ვალუტა შემოეღოთ, გამოშვებულ ბონებს კი დროთა განმავლობაში, ნელ-ნელა გამოისყიდდა ამიერკავკასიის ხელისუფლება.

ჩამოყალიბდა სპეციალური სამხატვრო ჟიური, რომელსაც დაევალა შეერჩია საუკეთესო ესკიზები მომავალი ამიერკავკასიის ბონებისთვის. 1918 წლის იანვრის დასაწყისში ჟიურის მიერ საუკეთესო ბონის კუპიურების ესკიზებად შეირჩა არქიტექტორ გ. მ. ტერ-მიქელიანის მიერ შესრულებული ნამუშევრები.

1918 წლის 29 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა დებულება „ბონების შესახებ“, რომელშიც ნათქვამი იყო:

1. „ამიერკავკასიის კომისარიატი უშვებს 100 მილიონ მანეთის ბონებს.
2. ბონები მოქმედებაში იქნებიან დროებით, ვიდრე მოისპობოდეს ის მიზეზები, რომლებიც ქალაქის ფულის ნაკლებობას იწვევენ. შემდეგ ბონები გაბათილდება.
3. ამიერკავკასიაში ბონებს ისეთივე ღირებულება ექნებათ, როგორც ქალაქის ფულს. მას მიიღებენ როგორც საზოგადო დაწესებულებები, ისე კერძო პირები.
4. ბონები გამოიცემა 1 მანეთიანი, 3 მანეთიანი, 5 და 10 მანეთიანი, 50 მანეთიანი და 100 მანეთიანი.
5. ბონები მზადდება ფინანსების სამინისტროს კომისრის განკარგულებით და გადაეცემა სახელმწიფო ბანკის კანტორას ხმარებაში გამოსაშვებად.
6. თბილისის სახელმწიფო ბანკის კანტორა ბონებს უშვებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბანკის განყოფილების საშუალებით.

7. ბონი არ მიიღება თუ აკლია ნამდვილ ზომის ერთი მესამედი ან ნუმერაცია³.

ამიერკავკასიის ბონების გამოშვება 1918 წლის 5 თებერვლიდან დაიწყო. მოგვიანებით: 1, 3, 5, 10, 50 და 100 მანეთის ნომინალის ბონებს 250-მანეთიანი ბონის კუპიურაც შეემატა. ამიერკავკასიის ბონები კურსით რუსული მანეთის პარიტეტული იყო და შესაბამისად თავისუფლად შეედლო მიმოქცევაში ყოფნა არა მარტო კავკასიის, არამედ მთლიანად რუსეთის ყოფილი იმპერიის მასშტაბით.

1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი, რომელსაც ხელისუფლების მართვა-გამგეობა გადააბარა. ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 22 აპრილს ოფიციალურად გამოაცხადა ამიერკავკასიის რუსეთიდან გამოყოფა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს - ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის - შექმნა.

ამიერკავკასიის სეიმმა თავისი არსებობის პერიოდში, თებერვლიდან მაისის ჩათვლით, 200 მილიონი მანეთის ღირებულების ბონი დაბეჭდა.

ჯამში, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნამდე, ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს პერიოდში, მიმოქცევაში იყო 300 მილიონი მანეთის ღირებულების ამიერკავკასიის ბონი (100 მლნ. კომისარიატის, ხოლო 200 მლნ. ამიერკავკასიის სეიმის გამოშვებული)⁴.

ქალაქის ფულადი ნიშნების ემისია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში

1918-1921 წწ.

ფინანსთა სამინისტრო და მისი საშტატო მოწყობა

1918 წლის 26 მაისს ოფიციალურად გამოცხადდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის გაუქმება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე შემუშავდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მოწყობა და განისაზღვრა მისი საშტატო ერთეულები. სახელმწიფო ხარჯების შემცირების მიზნით ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროები გაერთიანდა და ერთ სტრუქტურულ დაწესებულებად ჩამოყალიბდა:

„ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიეკუთვნება სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების საერთო განკარგვა. ზედამხედველობის გაწევა იმ შემოსავალთა წყაროებისა, რომელიც ეხება მრეწველობასა და ვაჭრობას, სავაჭრო და სახელოსნო საზოგადოებებსა და ორგანიზაციებს, სამთო განყოფილებებს, საზღვაო ვაჭრობასა და პორტებს.

ზემოთ აღნიშნული განსაკარგავი სფეროების გარდა, ფინანსთა სამინისტროს მინდობილი აქვს სახელმწიფო საკრედიტო ოპერაციები, სახელმწიფო სესხების მართვა, ზედამხედველობის გაწევა

³ ნიკო ჯავახიშვილი, „ქართული ბონისტიკა“, თბილისი, 1996 წ., გვ.14.

⁴ ნიკო ჯავახიშვილი, „ქართული ბონისტიკა“, გვ. 28.

საზოგადოებრივ და კერძო საკრედიტო დადგენილებებზე, ასევე ზედამხედველობის გაწევა კერძო და სახელმწიფო სარკინიგზო გზებზე ტარიფების დადგენაში“⁵.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობა შედგებოდა: მინისტრისგან, საბჭოსა და მინისტრის ორი ამხანაგისგან. მინისტრის ამხანაგი პოსტით დღევანდელი მინისტრის მოადგილის ტოლფასი იყო. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო შედგებოდა ორი ძირითადი სექტორისგან: საფინანსო და ვაჭრობა-მრეწველობის. მინისტრის თითოეული ამხანაგი პასუხისმგებელი იყო მასზე მინდობილი სექტორის მუშაობაზე.


თავდაპირველად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პოსტს იკავებდა გიორგი ჟურული, ხოლო მინისტრის ამხანაგის თანამდებობას საფინანსო სექტორში - კონსტანტინე კანდელაკი. მოგვიანებით, 1919 წლის 21 მარტს, კონსტანტინე კანდელაკმა ჩაანაცვლა გიორგი ჟურული ამ პოსტზე⁶.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბჭო აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, სხვადასხვა გადაწყვეტილების შემუშავებასა თუ შემდეგ მის განხორციელებაში.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სტრუქტურის უკეთ გასაანალიზებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ მისი დიაგრამული სახე:

⁵ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფონდი 1891, აღწ.1, საქმე 30, ფურც. 41.

⁶ <http://www.nplg.gov.ge/emigrants/en/00000390/>



როგორც სქემიდან ჩანს, საფინანსო სექტორი შედგებოდა შემდეგი განყოფილებებისგან:

1. საბიუჯეტო და სახაზინო განყოფილება;
2. გადასახადების განყოფილება;
3. საკრედიტო განყოფილება.

საფინანსო და ვაჭრობა-მრეწველობის სექტორთა საერთო განყოფილებებს მიეკუთვნებოდა: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საერთო განყოფილება და საერთო რეგისტრატურა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სექტორთაგან განცალკევებით იდგა სამინისტროს სტატისტიკური სამსახური⁷.

ყველა სხვა მოვალეობასთან ერთად საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილების მთავარი მოვალეობა იყო ქვეყნის მასშტაბით შემოსავალ-გასავლის კონტროლი. რაც შეეხება საკრედიტო და საგადასახადო განყოფილებებს, ყველა სხვა მოვალეობასთან ერთად საგადასახადო განყოფილებას

⁷ სცსა, ფონდი 1891, აღწ.1, საქმე 30, ფ. 150.

დამატებითი ინფორმაციისა და დეტალური აღწერილობისთვის გთხოვთ იხილოთ დანართი1.

ევალუბოდა: სახელმწიფო გადასახადების აკრება, მათ შორის საგერბო და სააქციზო მოსაკრებლების, ასევე ზედამხედველობა სახაზინო მონოპოლიებზე.

საკრედიტო განყოფილებას - საკრედიტო ოპერაციათა ზედამხედველობა, სახელმწიფო და კერძო ბანკების მოქმედებებზე თვალყური, იმ საქმეების განკარგვა, რომელიც ეხებოდა შიდა და გარე სახელმწიფო სესხებს, სამონეტო და ქალაქის ფულის გამოშვებას⁸.

სახელმწიფოს მასშტაბით ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი ნიშნების გამოშვება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საკრედიტო განყოფილების კომპეტენციაში შედიოდა, კერძოდ სახელმწიფო ქაღალდების საბეჭდო ექსპედიციას ევალებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, ისევე როგორც ამიერკავკასიის პერიოდში, ქალაქის ფული იბეჭდებოდა თბილისში, დღევანდელ თავისუფლების მოედანზე მდებარე ყოფილი სამხედრო შტაბის შენობაში (რუსთაველის გამზირი N-1) განთავსებულ ფულის საბეჭდო ექსპედიციაში.

ფულის საბეჭდო ექსპედიციაში გამოშვებული ბონები შედიოდა რუსეთის ყოფილი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში, საიდანაც, თანახმად საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დადგენილებისა, ნაწილდებოდა ქვეყნის მასშტაბით არსებულ სხვადასხვა სახაზინოში.

1920 წლამდე საქართველოს ცენტრალური (ეროვნული) ბანკის მოვალეობას რუსეთის ყოფილი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა ითავსებდა, თუმცა რეალურად იგი მთლიანად დამოკიდებული იყო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროზე. მას არ შეეძლო ფულადი ემისიის განხორციელება, ან საკრედიტო და საბანკო ოპერაციებზე თვალყური. ამ ფუნქციებს დროებით ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის საკრედიტო განყოფილება და ფულის საბეჭდო ექსპედიცია ითავსებდა.


რუსეთის ყოფილი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომისრის ზედამხედველობის ქვეშ მუდმივად იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, თბილისის ბანკის სახელმწიფო კანტორა იყო უბრალოდ სალარო, საიდანაც ხდებოდა ფულის გადანაწილება ქვეყნის მასშტაბით განთავსებულ სახაზინოებში⁹.

საქართველოს ცენტრალური ბანკის გახსნა და მისი მუშაობა 1920 წლის ივლისიდან დაიწყო. თუ რატომ ვერ მოხერხდა მანამდე საქართველოს ცენტრალური ბანკის შექმნა, რა თქმა უნდა ობიექტურ მიზეზებთან, მწვავე ფინანსურ-ეკონომიკურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

სახელმწიფო ქაღალდების საბეჭდო ექსპედიციის შტატი:

⁸ სცსა, ფონდი 1891, აღწ.1, საქმე 30, ფ. 43.

⁹ კონსტანტინე კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, პარიზი, 1960 წ. გვ.129.



როგორც აღინიშნა, სახელმწიფო ქალაქების საბეჭდო ექსპედიციას ევალებოდა რესპუბლიკის ბონებისა და ფასიანი ქალაქების დამზადება.

იგი სტრუქტურულად პირობითად შეგვიძლია დავყოთ მთავარ და მასთან დაქვემდებარებულ სამ უწყებად. მთავარი განყოფილება შედგებოდა: ექსპედიციის გამგისა და მისი თანამშრომლებისგან¹⁰.

მთავარ განყოფილებასთან დაქვემდებარებული უწყებები იყო:

1. საკონტროლო კომისია - ევალებოდა სახელმწიფო ქალაქების ბეჭდვის პროცესზე ზედამხედველობა;
2. უშუალოდ ფულის ბეჭდვის განყოფილება შედგებოდა ფულის სამხატვრო და ლითოგრაფიული განყოფილებებისგან, ქალაქის დაჭრისა და გადათვლის, ასევე საბეჭდო მანქანაზე მომუშავე პერსონალისგან;
3. სახელმწიფოს ქალაქების საბეჭდო ექსპედიციის სამხედრო დარაჯი-ყარაული. შედგებოდა ერთი ოფიცრისა და მასზე დაქვემდებარებული 12 ჯარისკაცისგან.¹¹

სახელმწიფო ქალაქების საბეჭდო ექსპედიციის მიერ გამოშვებული ქალაქის ფული გადაეცემოდა რუსეთის ყოფილი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორას, რომელიც მას ანაწილებდა სახაზინოებში ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოს რესპუბლიკის ხაზინების შტატი:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახაზინოები თავისი მნიშვნელობის მიხედვით განისაზღვრებოდა დონეებით: 1-ლი რიგის ხაზინიდან მე-4 რიგის ხაზინამდე.

¹⁰ დამატებითი ინფორმაციისა და დეტალური აღწერილობისთვის გთხოვთ იხილოთ დანართი 2.

¹¹ სცსა, ფონდი 1891, აღწ.1, საქმე 96, ფურც. 3.

ქვეყნის მთავარი ხაზინა იყო თბილისის ხაზინა. სახაზინოს იერარქია იწყებოდა ხაზინადართა და მისი თანაშემწით და მთავრდებოდა რეგისტრატორებითა და ნაფიცი დამთვლელებით; მთავარ ხაზინას გამოყოფილი ჰყავდა 2 დარაჯი ყარაულად.

მთავარი სახაზინოს, თბილისის სახაზინოს შემდეგ, 1-ლი რიგის ხაზინას ქუთაისის ხაზინა წარმოადგენდა.

მეორე რიგის ხაზინები: ფოთის, სოხუმისა და გორის.

მესამე რიგის ხაზინები: თელავის, სიღნაღის, ზესტაფონის, ჭიათურის, სენაკისა და ზაქათალის.

მეოთხე რიგის ხაზინები: ოზურგეთის, დუშეთის, შულავერისა და ონის¹².

ამიერკავკასიის ბონების ემისიის საკითხი 1918-1919 წწ.

საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლობას მძიმე ვითარებაში შეხვდა. პირველმა მსოფლიო ომმა საქართველოსა და ევროპას შორის არსებული სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობები მთლიანად მოსპო, რასაც ემატებოდა სასურსათო კრიზისიც. საქართველოს მეზობელ სახელმწიფოში, რუსეთში, დაწყებული სამოქალაქო ომითა და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში თეთრგვარდიელთა გამოჩენით შეწყდა ყუბანიდან საქართველოში ხორბლის მიწოდება. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუწყობელი სახელმწიფო მუდმივად საომარ ვითარებაში იმყოფებოდა; იგრძნობოდა აშკარა საფრთხე ოსმალეთისგან, რასაც ერთვოდა 1918 წლის სომხეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტი, შეტაკებები დენიკინის თეთრგვარდიელებთან; არეულობები აფხაზეთსა და სამცხე-ჯავახეთში, ბათუმის ოლქის საქართველოს იურისდიქციაში არყოფნა და ბათუმის, როგორც ეკონომიკურად სტრატეგიული ტერიტორიის გამოუყენებლობა.

სავაჭრო ურთიერთობების მოშლამ, სპეკულანტებისა და საქართველოს ტერიტორიაზე შეგზავნილი აგენტების გამიზნულმა მავნე საქმიანობამ, რასაც ემატებოდა სამხედრო შეიარაღებისა და მობილიზაციისთვის დამატებითი თანხების გამოყოფა, ისედაც სუსტი ეკონომიკა კიდევ უფრო შეარყია და მოშალა. საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ოქროს მარაგი, რასაც უნდა დაფუძნებოდა ეროვნული ვალუტის გამოშვება. არათუ საკუთარი ოქრო, არამედ თვით რუსეთისგან გამოყოფის შემდეგ კავკასიის ცენტრში - თბილისში - დარჩენილი რუსული კაპიტალიც კი სადავოდ გადაქცეოდათ მეზობელ რესპუბლიკებს - სომხეთსა და აზერბაიჯანს.

სასურსათო კრიზისის დასამლევად მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც საქართველოს საზღვრებში პურეულით ვაჭრობა თავისუფლად გამოცხადდა, ხოლო საზღვარგარეთიდან ხორბლისა და ფქვილის შემოტანა საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლდა. სურსათის გადამალვისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ღონისძიებები კი შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაამკაცრა. მთავრობამ დაანონსა საბაჟო და ხარჯთამკრები სისტემის მოწესრიგება, სავაჭრო აგენტების გაგზავნა უცხოურ სახელმწიფოებში იქაური ეკონომიკური სიტუაციის შესასწავლად და ინვესტორთა მოსაძიებლად.

¹² სცსა, ფონდი 1891, აღწ.1, საქმე 96, ფ. 5.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ დოკუმენტში ბათუმის ოლქი არ ფიგურირებს, რადგან 1920 წლის ივლისამდე მასზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ შეკრებაზე ქვეყნის პირველი პირი, ნოე ჟორდანია, საგანგებოდ აღნიშნავდა: „საქართველოს სახელმწიფო სალაროს დღიდან ბოლშევიკების გადატრიალებისა, 1917 წლის ოქტომბრიდან, ერთი კაპიკიც არ მიუღია რუსეთიდან - ადვილად წარმოიდგენთ ჩვენს ფინანსიურ გაჭირვებას. ხოლო, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, სალარო სრულიად ცარიელი იყო. მიუხედავად ამისა, დღემდე სული მაინც მოვიტანეთ ისე, რომ არავითარი საგარეო ვალი არ აგვიღია. მართალია, შემოსავლის წყარო ფინანსიურ თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ ბონების ბეჭდვის მეტი გზა არ გვქონდა...“¹³.

ბონების გამოშვებით, რომელიც დღითი დღე უფრო და უფრო მატულობდა, სახელმწიფო ხარჯების დაფარვის წინააღმდეგი პრაქტიკულად არავინ იყო, ყველას, ისევე როგორც ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, მმართველ პარტიასა და ოპოზიციას ესმოდა ძალიან კარგად ქვეყნაში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობა, თუმცა ბონების განუწყვეტელ გამოშვებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. განსაკუთრებით ცხარე დისკუსიები იმართებოდა ბონების რაობაზე. დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა მმართველ პარტიას ჰქონდა ურყევი პოზიცია ამიერკავკასიის კომისარიატის პერიოდში გამოშვებული დროებითი ფულადი ნიშნების - ბონების - ხმარებაში დატოვებისა და ხელახალი ემისიის, როდესაც ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვდა ეროვნული ფულის გამოშვებას.

მართალია, პოლიტიკურად ამიერკავკასიის დემოკრატიულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ არსებობა 1918 წლის 26 მაისს დაასრულა, მაგრამ ფინანსურად მან არსებობა 1919 წლის ივლისამდე გააგრძელა. საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა ერთობლივი შეთანხმებით გამოთქვეს სურვილი გაეგრძელებინათ ამიერკავკასიის ბონების ბეჭდვა, მიუხედავად ამიერკავკასიის რესპუბლიკის გაუქმებისა.

საქართველოს მმართველ წრეებში კარგად ესმოდათ ამიერკავკასიის იმ ერთიანი ვალუტის - ამიერკავკასიის ბონის - არსებობის აუცილებლობა, რომელიც ფინანსურად აერთიანებდა ამ სამ ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოს.

1918 წლის ივლისის მიწურულს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ, სანამ საკუთარ ფულად ერთეულებს შემოიღებდნენ, შეენარჩუნებინათ ამიერკავკასიის ერთიანი ბონი, რის განსახორციელებლადაც და გამოშვებული ბონის კურსის გასამაგრებლად უნდა მიეღოთ შესაბამისი ფინანსურ-ეკონომიკური ზომები:

1. მკაცრად უნდა განესაზღვრათ ამიერკავკასიის ბონის გეგმაზომიერი და მიზანმიმართული ემისია და განეხორციელებინათ ფუფუნების საგნების იმპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ამიერკავკასიაში;
2. არ უნდა დაეშვათ კაპიტალის უცხოეთში გადინება;
3. მაქსიმალურად უნდა შეეზღუდათ რუსეთის „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთების“ მიმოქცევა ამიერკავკასიაში და გაეტარებინათ ბრუნვიდან მათი თანდათანობით ამოღების ზომები;
4. საქონლის ექსპორტს ამიერკავკასიიდან უცხოეთში საფუძვლად უნდა დასდებოდა ან სამაგიერო საქონლის იმპორტი უცხოეთიდან, ან აქედან გატანილ პროდუქციაში აღებული ვალუტა სახელმწიფოს უნდა გადასცემოდა;

¹³ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ.50.

5. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის პრეროგატივა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებს უნდა ჰქონოდათ, ხოლო მისი საკურსო თანაფარდობა ამიერკავკასიის კომისარიატის ბონებთან შეფარდებით უნდა დადგენილიყო სამივე რესპუბლიკის შეთანხმების საფუძველზე¹⁴.

ამ შეთანხმებას წინ გარკვეული დაბრკოლებებიც ახლდა, კერძოდ, თავიდან ამიერკავკასიის საერთო ბონის გამოსაცემად თანამშრომლობაზე უარი განაცხადა აზერბაიჯანის რესპუბლიკამ. აზერბაიჯანი მოითხოვდა რუსეთის რევოლუციის შემდეგ კავკასიის ტერიტორიაზე დარჩენილი ქონების განაწილებას და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა საუბარი საერთო ბონების გამოცემაზე.

ამ სიტუაციასთან დაკავშირებით საქართველოს იმდროინდელი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, გიორგი ჟურული, აცხადებდა: „ჩვენ იძულებულები ვიყავით ამიერკავკასიის სახელით გამოგვეცა ბონები. ამიტომ საჭირო იყო სომხეთთან და აზერბაიჯანთან შეთანხმება. აზერბაიჯანმა შეთანხმება არ ისურვა, მან მოგვთხოვა ჯერ საერთო ქონების გაყოფა და შემდეგ ბონების გამოცემა. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ რუსეთის წინაშე იმ ქონებისათვის, რომელიც აქ სატახტო ქალაქში დარჩა, პასუხისმგებელია საქართველო. ამასთან ჩვენ არ ვიცით, რამდენი ქონება დარჩა აზერბაიჯანში და სხვა. ამიტომ ამ ქონების პატრონი და პასუხისმგებელი ჯერ-ჯერობით ჩვენ ვართ. სომხეთთან, მიუხედავად ჩვენი ასეთი განცხადებისა, შეთანხმება მაინც მოხდა. მათ წამოგვიყენეს 80 მილიონი მანეთის საჭიროება, ჩვენ კი 120 მილიონის, რადგანაც ჩვენ უნდა მოვახდინოთ ლიკვიდაცია რუსული დაწესებულებების და ამისათვის კი საჭიროა დიდი თანხა...“¹⁵.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად იმისა, იმ პერიოდში ქალაქის ფულის საბეჭდი დაზგები მხოლოდ საქართველოში, თბილისში, არსებობდა (მეფის რუსეთის პერიოდში ისინი განათავსეს დედაქალაქში - იყოს ფრჩხ-ში ეს წინ-ბა), საქართველოს მთავრობას არ უსარგებლია ამ პრივილეგიით და არ მოუხდენია ამიერკავკასიის ბონების გამოცემის უზურპაცია. საქართველომ ჯერ შეათანხმა ეს კანონპროექტი სომხეთთან და აზერბაიჯანთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა ამიერკავკასიის ბონების გამოშვებას.

ამიერკავკასიის რესპუბლიკის გაუქმების დღიდან, პირველად, ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები გამოიცა 1918 წლის 20 ივლისს 280 მლნ. მანეთის ოდენობით.

1918-1919 წლებში, დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, 5-ჯერ გამოიცა ამიერკავკასიის ბონები:

1. 1918 წლის 20 ივლისს - 280 მლნ. მანეთი;
2. 1918 წლის 15 ნოემბერს - 160 მლნ. მანეთი;
3. 1919 წლის 12 თებერვალს - 320 მლნ. მანეთი;
4. 1919 წლის 7 მაისს - 200 მლნ. მანეთი;
5. 1919 წლის 4 ივნისს - 100 მლნ. მანეთი¹⁶.

¹⁴ ნიკო ჯავახიშვილი, „ქართული ბონისტიკა“, გვ. 67.

¹⁵ ნიკო ჯავახიშვილი, „ქართული ბონისტიკა“, გვ. 22.

¹⁶ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 67.

სულ, ჯამში, მიმოქცევაში შევიდა 1 მილიარდ 60 მლნ. მანეთი, თუმცა, თუ ამ თანხას ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის დროს გამოშვებულ 300 მლნ. მანეთს მივამატებთ, ჯამში 1918-1919 წლებში დაბეჭდილ ბონთა რაოდენობა 1 მილიარდ 360 მლნ. მანეთს აღწევს. ამ თანხიდან საქართველოს გადაეცა 540 მილიონი მანეთი, სომხეთსა და აზერბაიჯანს - 820 მლნ. საქართველომ კუთვნილ მესამედზე 87 მლნ. მანეთით მეტი მიიღო, ვინაიდან სწორედ მას დააწვა რუსული ყოფილი ცენტრალური დაწესებულებების ლიკვიდაციის მთელი სიმძიმე. ამ საქმიანობაში სომხეთსა და აზერბაიჯანს მონაწილეობა არ მიუღია. საქართველოს მთავრობის მიერ ყოფილი რუსული დაწესებულებების ლიკვიდაცია და ამისათვის ზედმეტი თანხის გამოყოფა ასევე ზემოქმედებდა ქვეყნის ინფლაციის დონეზე.

როდესაც ვსაუბროთ ამიერკავკასიის ბონის ემისიაზე, ღირდა კი ამიერკავკასიის ბონის გამოშვების გაგრძელება, თუ ჯობდა ეროვნულ ფულად ნიშნებზე გადასვლა, აუცილებელია გავიაზროთ იმ დროის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, არსებული გამოწვევები.

მიუხედავად ამიერკავკასიის რესპუბლიკის გაუქმებისა, ამ ფულადი ერთეულის ხმარებაში დატოვებას რიგი მიზეზები და უპირატესობა ჰქონდა, ვიდრე ქართული ფულის შემოღებას:

1. ამიერკავკასიის ბონს გავრცელების ბევრად დიდი არეალი ჰქონდა, ვიდრე ცალკეული რესპუბლიკების ფულის ნიშნებს ექნებოდა;
2. ხალხი უკვე შეჩვეული იყო ამიერკავკასიის ბონს, რომელსაც მიმოქცევაში იყენებდნენ როგორც ამიერკავკასიის ფარგლებში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ძირითადად ჩრდილო კავკასიაში. ხოლო ქართული ფულის ნიშნის გამოშვების შემთხვევაში მისი გავრცელება არათუ ამიერკავკასიის, არამედ თვით საქართველოს სრულ ტერიტორიაზეც ვერ მოხერხდებოდა, კონკრეტულად ბათუმის ოლქში, რომელიც ჯერ ოსმალეთის, ხოლო შემდეგ ბრიტანეთის კონტროლქვეშ იყო. ყოველივე ამ მიზეზთა გათვალისწინებით არსებობდა რეალური საფრთხე, რომ ქართული ფულის გამოშვებას მალევე მოჰყვებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის დაკარგვა მის მიმართ, რაც ფულის კურსის სწრაფ დაცემას გამოიწვევდა;
3. ამიერკავკასიის ერთიანი ბონი ხელს უწყობდა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის გაფართოებას. საზღვარგარეთიდან ჩამოსული მეწარმეებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ადგილობრივი ნედლეულის ექსპლუატაციით, მისაღები იყო ნედლეულის შეძენის შემდეგ ანგარიშსწორება ერთი ფულადი ნიშნით, ვიდრე რამდენიმე ტიპის ვალუტით: საქართველოში - ქართულით, სომხეთში - სომხურით და აზერბაიჯანში - აზერბაიჯანულით;
4. რუსული საიმპერიო დაწესებულებების სალიკვიდაციოდ და 1918 წელს მცირე აზიიდან მომავალი რუსული არმიის ნაწილების სავაკუაციოდ ამიერკავკასიის ბონი ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა, ვიდრე ქართული ფულადი ნიშნები, რომელნიც იურიდიულად საქართველოს ფარგლებს გარეთ საერთოდ ვერ გავრცელდებოდა, მაშინ, როდესაც რუსეთში, საკუთარ სახლებში, ათასობით რუსი ჩინოვნიკი და სამხედრო იყო გადასაგზავნი.

როგორც აღინიშნა, რუსული დაწესებულებების ლიკვიდაციასა და ნაფრონტალი სამხედროების ევაკუაციაში საქართველოს მეზობელი რესპუბლიკები არ დახმარებია. გამკლავება ამ სიტუაციაში საქართველოს დამოუკიდებლად მოუხდა:

1917 წლის 8 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის მიერ მიღებული პირველი დეკრეტით, რომელიც ცნობილია „მშვიდობის დეკრეტის“ სახელწოდებით, დაიწყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომ სხვადასხვა ფრონტზე განაწილებული რუსული არმიების სამშობლოში დაბრუნების პროცესი.

1918 წელს კავკასიის ფრონტზე გამაგრებული რუსული არმია მოიშალა, სამხედროები კავკასიის გავლით რუსეთში, თავიანთ სახლებში, უნდა დაბრუნებულიყვნენ. რუსული არმიის შემოსვლა კავკასიაში დიდ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების სუვერენიტეტს. დაშლილი ფრონტიდან სწორედ საქართველოსკენ მომავალ სამხედროებზე ამყარებდნენ იმედს ქართველი ბოლშევიკები, რათა მათი დახმარებით სამხედრო გადატრიალება მოეწყოთ თბილისში: „ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ამიერკავკასიას და კერძოდ საქართველოს, ორი მხრიდან მოელოდა საფრთხე. ერთი იყო ოსმალეთი, რომლის ჯარებიც უკან დახეულ ჩვენს ჯარებს ფეხდაფეხ მოსდევდნენ და მალე გადმოლახავდნენ ჩვენს საზღვრებს, მაგრამ სანამ ოსმალები ჩვენამდე მოაღწევდნენ, შინისაკენ მიმავალი რუსეთის ჯარები გვაწვებოდნენ... ამ უკანდახეულ რუსულ ჯარებს გზა ტფილისზე ჰქონდათ. მოაღწევდნენ ტფილისამდე, გაჩერდებოდნენ ნავთლულში და როგორც მტერი, ალყაშემორტყმულ ქალაქს გვიდგენდნენ სხვადასხვა მოთხოვნებს... ერთხელ ისიც კი მოითხოვეს, რომ ამიერკავკასიის მთავრობა გადამდგარიყო და ხელისუფლება ჩაებარებინა არმიის საოლქო ყრილობისათვის“¹⁷.

1918 წლის დამდეგს თბილისს მოადგა ფრონტიდან წამოსულ ჯარისკაცთა 16 ეშელონისგან დაკომპლექტებული დანაყოფი, სწორედ მათ მოითხოვეს მთავრობის გადადგომა. ამიერკავკასიის მთავრობამ თბილისის დაცვა მიანდო გენერალ გიორგი მაზნიაშვილს, რომელმაც შესაბამისი სამხედრო მოქმედებები დაიწყო თბილისის თავდაცვითი ზოლის შესაქმნელად ნაფრონტალი რუსული არმიის შტურმის შემთხვევაში. საქართველოს მთავრობა ყველანაირად ცდილობდა ომის აცილებას. ყოფილი რუსეთის იმპერიის სამხედროებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას, სურსათით მომარაგებასა და სამშობლოში მგზავრობის დაფინანსებას სთავაზობდა. მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, რუსულმა არმიამ გზა გააგრძელა და გამაგრებულ თბილისზე შეტევა აღარ გარისკა.

დედაქალაქზე შტურმის აცილების შემდეგ კვლავ ხდებოდა ფრონტიდან სხვადასხვა რუსული სამხედრო დანაყოფის მოდინება, თუმცა მათი რიცხოზობივი სიმცირე ქვეყნის სუვერენიტეტს საფრთხეს აღარ უქმნიდა. რუსეთის ნაფრონტალი სამხედროებისა და ცარიზმის ჩინოვნიკთა სახლებში დაბრუნება საქართველოს მილიონობით მანეთი დაუჯდა. 1918 წლისთვის არ იყო შესაბამისი რუსული სახსრები ხაზინაში, თუმცა ამიერკავკასიის ბონს გავრცელებისა და მოხმარების ფართო არეალი ჰქონდა, ვიდრე საქართველოს ბონს ექნებოდა შემოღების შემთხვევაში. შესაბამისად, ამიერკავკასიის ბონით შესაძლებელი იყო რუსული არმიების გადაყვანა სამშვიდობოს და ჩვენს ტერიტორიაზე დარჩენილი საიმპერიო დაწესებულებების ლიკვიდაციაც, რაც საქართველოს ეროვნული ვალუტის შემოღების შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა.

რუსეთში მიმავალთ მთავრობა სალიკვიდაციო თანხის ნაწილს უხდიდა: ოჯახის პატრონებს - 1000, ხოლო მარტოხელებს - 500 მანეთს. გარდა ამისა, დანარჩენი თანხა გასანაღებლად იწერებოდა სპეციალურად მათთვის გახსნილ ანგარიშებზე, რომლებიც ბანკისა და ფოსტის მეშვეობით იგზავნებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის მასშტაბით თითოეული მგზავრის ჩასვლის ადგილზე განსაზღვრულ ანალოგიურ დაწესებულებაში¹⁸.

¹⁷ გიორგი მაზნიაშვილი, „მოგონებანი“, თბილისი, 2014 წ., გვ.14.

¹⁸ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 64.

ყოველივე ამ გარემოებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მართლაც ეფექტური იყო ამიერკავკასიის ბონის მიმოქცევაში დატოვება საქართველოს რესპუბლიკისთვის, ვიდრე ქართული ფულადი ნიშნების ემისია, მანამ, სანამ მომზადდებოდა ამისთვის შესაბამისი ეკონომიკური ნიადაგი.

ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის შეთანხმებით გამოშვებულ ბონთა პირველ ემისიას ხელს უწყობდა ასევე შემდეგი გარემოებები:

1. სომხეთსა და აზერბაიჯანს არ ჰქონდა საკუთარი ფულის საბეჭდი ექსპედიციები და ისინი დამოკიდებულნი იყვნენ თბილისზე;
2. 1918 წლის ივლისში ბაქო ბოლშევიკურმა ძალებმა დაიკავეს. აღნიშნულიდან გამომდინარე აზერბაიჯანის მთავრობას ფული სასწრაფოდ სჭირდებოდა, შესაბამისად, საერთო ამიერკავკასიის ბონის გამოშვებაზე საქართველოს წინადადებას ადვილად დაჰყვა აზერბაიჯანული მთავრობა.

დღიდან ამიერკავკასიის კომისარიატის ფუნქციონირებისა, თბილისში დაბეჭდილი ბონები ნაწილდებოდა დანარჩენ რესპუბლიკებში: აზერბაიჯანსა და სომხეთში.

1918 წლის ივლისის მიწურულს ბაქო ბოლშევიკებმა დაიკავეს, მათი მმართველობა 1918 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში მათ შემოიტანეს ფულის საბეჭდი საექსპედიციო დაზგები. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მოახერხა ბაქოს კვლავ დაბრუნება, ბოლშევიკების მიერ მოწყობილი ფულის საბეჭდი ექსპედიცია აზერბაიჯანის ხელისუფლებას დარჩა. ამის შემდეგ აზერბაიჯანმა დაიწყო საკუთარი ფულადი ნიშნების გამოშვება. აზერბაიჯანის მთავრობას უკვე აღარ აინტერესებდა ამიერკავკასიის ბონის გამოშვება, შესაბამისად, საქართველოსთვის ყოველ ახალ ემისიაზე შეთანხმება დროში იწელებოდა. კონსტანტინე კანდელაკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „თითოეული ახალი ემისია დიდის ვაი-ვაგლახით ტარდებოდა ხოლმე სამ რესპუბლიკის წარმომადგენელთა კონფერენციაზე“¹⁹.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ გამოშვებულმა ბონმა ამიერკავკასიის ბონს კონკურენცია ვერ გაუწია. მისი კურსი მალევე დაეცა, 1918 წლისთვის მისი მყიდველუნარიანობა ორჯერ ჩამორჩებოდა ამიერკავკასიის ბონს²⁰.

ამიერკავკასიის ბონის ემისიათა გამოშვების გაგრძელება-არგაგრძელებაზე ცხარე კამათი იმართებოდა დამფუძნებელი კრების სხდომებზე. ოპოზიცია მთავრობას არაპროფესიონალიზმსა და ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფაში ადანაშაულებდა:

1918 წლის 12 ნოემბერს დამფუძნებელი კრების მორიგ სხდომაზე, რომელზეც ერთ-ერთ განსახილველ თემად დამატებით 200 მილიონი ამიერკავკასიის ბონის გამოშვება იყო შემოტანილი, ოპოზიციონერმა გრიგოლ ვეშაპელმა (ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიიდან) აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ყოვლად გაუმართლებელი იყო ამიერკავკასიის ბონის გამოცემა მაშინ, როდესაც პოლიტიკურად აღარ არსებობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა. ამ ფულადი ნიშნების გამოსაშვებად საემისიო უფლება კი მხოლოდ ამიერკავკასიის მთავრობას - კომისარიატს - ჰქონდა. შესაბამისად, ამიერკავკასიის ფულადი ნიშნების გამოშვების გაგრძელება, მაშინ, როდესაც ეს სახელმწიფო აღარ არსებობდა, იყო არათუ შიდა, არამედ საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევა, რაც მიუღებელი იყო მისი პარტიისთვის. საჭირო იყო ეროვნული ფულადი ნიშნების

¹⁹ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 67, პარიზი, 1960 წ.

²⁰ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, გვ. 70.

გამოშვება. ხოლო რაც შეეხება ამიერკავკასიის ბონის გამოშვებას ეკონომიკური კუთხით იმ საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც საქართველოს მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური ორიენტაცია არ იყო ზუსტად გარკვეული და გამოხატული, საერთო ფულის ბეჭდვა და ამ ფულის ნაწილით მეზობელი ქვეყნების მომარაგებას შესაძლოა საფრთხე მოეტანა ქვეყნისთვის და ზოგ შემთხვევაში ანტისახელმწიფოებრივც ყოფილიყო. მაგალითისთვის გრიგოლ ვეშაპელი ასახელებდა, რომ შესაძლებელი იყო ამიერკავკასიის ფულის მიცემით მეზობელი რომელიმე ქვეყნისთვის, მას ადგილზევე შეესყიდა ქართული პროდუქცია თუ საქონელი და გაეტანა საქართველოს საზღვრებს გარეთ, რაც დაზარალებდა საქართველოს ეკონომიკას. ასევე, გრიგოლ ვეშაპელის თქმით, თუ რატომ არ უნდა გამოეშვათ საერთო ფული, მისი აზრით, მეზობელი ქვეყნების გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაცია იყო, მაგალითად სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის უახლოეს წარსულში მომხდარი სამხედრო კონფლიქტი. მან აღნიშნა, რომ მთავრობამ მხოლოდ კონფლიქტის დროს შეაჩერა ამიერკავკასიის ბონების მიწოდება მოწინააღმდეგისთვის - სომხეთისთვის. არათუ დროებით, არამედ საერთოდ უნდა შეწყვეტილიყო ამიერკავკასიის ბონის ემისია, რადგან იგი ფაქტობრივად მტრის დაფინანსების ტოლფასი იყო²¹.

გრიგოლ ვეშაპელის პოზიცია გაიზიარა თავის გამოსვლაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა, გერონტი ქიქოძემ, რომელიც ასევე მიესალმებოდა საქართველოს ეროვნული ფულადი ნიშნების გამოშვებასა და ამიერკავკასიის ბონის ემისიათა შეწყვეტას.

მათმა ოპონენტმა მმართველი პარტიიდან, ნოე ცინცაძემ (სოციალ-დემოკრატები) აღნიშნა, რომ გ. ვეშაპელმა და გ. ქიქოძემ ამიერკავკასიის ბონის გამოცემის საწინააღმდეგოდ და ქართული ბონის გამოცემის უფრო ხელსაყრელობაზე არანაირი სერიოზული არგუმენტი არ მოიყვანეს საკუთარ გამოსვლებში, გარდა იმისა, რომ ორივენი ფეტიშიზმით იყვნენ შეპყრობილნი და დაავადებულნი ქართული ბონის გამოშვებაზე: „ეს ორატორები ქართულ ბონების ფეტიშიზმით არიან ავადმყოფნი და შეპყრობილნი. ოღონდ კი იყოს ქართული ბონი და როგორი „რისკიც“ გნებავთ, ისეთ რისკს გაწევენ“²².

ამგვარად, საქართველოს რესპუბლიკის მმართველი პარტია არ იზიარებდა ოპონენტთა მოსაზრებას ამიერკავკასიის ბონის ემისიის შეწყვეტასა და საკუთარი სავალუტო სისტემის შემოღებაზე, სანამ მთავრობა არ დაინახავდა ამისთვის საჭირო ფინანსურ ვითარებას ქვეყანაში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გამოცემული 1918 წლის მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებები

1918 წლის ოქტომბერში დაწყებული სომხეთის არმიისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ლოკალური სამხედრო შეტაკებები 6 დეკემბრიდან ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. 1918 წლის 6 დეკემბერს სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა თვითნებურად გადმოლახა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი და დაიკავა ლორეს ტერიტორია, რასაც მოგვიანებით ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილის დაკავებაც მოჰყვა. ამ ქმედებას სათანადო სამხედრო პასუხი გასცა საქართველოს მთავრობამ.

სომხეთ-საქართველოს ომის პერიოდში, რომელიც 1918 წლის 6 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე გაგრძელდა, საქართველოს ხელისუფლებამ არ ისარგებლა ამიერკავკასიის ბონის გამოშვების

²¹ საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიული ანგარიშები, თბილისი, 1920 წ. სხდომა 5-61, გვ. 22.

²² საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიული ანგარიშები, სხდომა 5-61, გვ. 34.

უფლებით და საკუთარი სამხედრო ხარჯების დასაფარავად ამიერკავკასიის ბონის ემისიის მაგივრად მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებების გამოშვება დაისახა მიზნად.

1918 წლის 7 ოქტომბერს ფინანსთა სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა მოკლევადიანი სესხის კანონპროექტი, რომელიც მოიწონა დამფუძნებელმა კრებამ²³.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს კანონპროექტი ითვალისწინებდა ქართული ფასიანი ქაღალდების გამოშვებას პირველად; ეს იქნებოდა მეზობელი რესპუბლიკებისგან განსხვავებით საკუთარი ფულადი ნიშნების გამოშვების პირველი მცდელობა და მას, გარდა ეროვნული ფასეულობისა, ერთგვარი საცდელი დანიშნულებაც ჰქონდა. ხელისუფლება დაინახავდა, თუ როგორ შეხვდებოდა საქართველოს მოსახლეობა ეროვნულ ფასიან ქაღალდებს, მიიღებდა თუ არა მათ და გავრცელდებოდა თუ არა ქვეყანაში.

ამ კანონპროექტზე კონსტანტინე კანდელაკი წერდა:

„სანამ გადასახადებიდან საგრძნობელი თანხა შემოვიდოდეს ხარჯების დასაფარავად, ჩვენ აუცილებლად სესხს უნდა მივმართოთ. რამდენჯერმე გამართულმა ჩვენ მიერ თათბირმა გადაჭრით გამოსთქვა ის აზრი, რომ ახლა საშინაო გრძელვადიან სესხის იმედი არ უნდა გვქონდეს. საგარეო სესხის საქმეც ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ იმას ხომ მაინც საგანგებო დანიშნულება აქვს.

ამიტომ ერთადერთი გამოსავალი, როგორც ბონების გამოღვევის დროს კრიზისის შესამსუბუქებლად, ისე ბიუჯეტის გასამაგრებლად, ჩვენ გადავსწყვიტეთ მივმართოთ ხაზინის საშუალებით სესხის აღებას, ე.ი. მოკლევადიანი ხაზინის მოწმობები გამოვსცეთ...“.

თავის მოხსენებაში კანდელაკი აღნიშნავდა, რომ ეს მოკლევადიანი სესხი მხოლოდ მოქალაქეებისთვის არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, არამედ სურვილის შემთხვევაში ამით სარგებლობა მოიჯარეებსა და სხვა სახაზინო კრედიტორებსაც უნდა შესძლებოდათ. ვადად განსაზღვრული იყო 3-დან 12 თვემდე, რადგან, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლობის განმარტებით, ქვეყნის მომავალი არ იყო ნათლად ჩამოყალიბებული, შესაბამისად, უფრო გრძელვადიანი სესხის გაცემა რისკებთან იყო დაკავშირებული:

„ყოველ შემთხვევაში, უფრო გრძელი ვადით გამოცემა საფრთხილოა, რადგან ყველა შორეულ მამავალს ეჭვით უყურებს, არ იცის, რა მოგველის და გრძელვადიან სესხს ნაკლები გამნაღდებელი ეყოლება“²⁴.

1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მოკლევადიანი სესხის პროექტზე მთავრობის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ მთავრობა მიესალმება ქვეყნისთვის ამ მეტად საჭირო კანონპროექტს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებას. დოკუმენტში აღნიშნული იყო ისიც, რომ ფინანსთა სამინისტროს უნდა დაეჭირა თადარიგი, რათა „სესხი თავ-თავის ვადაზედ აუცილებლად გადახდილი ყოფილიყო ხაზინის მიერ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გამოშვებულ მოკლევადიან სესხს მოსახლეობაში შეიძლება ნდობა დაჰკარგოდა და ამ სესხს უკვე სამი თვის შემდეგ სრულიად მოესპობოდა ნიადაგი“²⁵.

1918 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში გაიმართა სხდომა სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათა გამოცემის შესახებ. კანონპროექტი ივანე ლორთქიფანიძემ წაიკითხა. პირველ ყოვლისა, საქართველოს პარლამენტის საფინანსო და საბიუჯეტო კომისიამ მიიღო (დაადგინა)

²³ სცსა, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 344, ფ. 1.

²⁴ სცსა, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 344, ფ. 2.

²⁵ სცსა, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 344, ფ. 4.

ფინანსთა სამინისტროს წინადადება, რათა მოკლევადიან ვალდებულებათა სესხის ზომად განსაზღვრულიყო 5%-იანი სესხის ვალდებულება.

თათბირზე კ. კანდელაკმა შემოიტანა წინადადება ვალდებულებათა ნახევრის სესხად და ნახევრის „თავისი ნამდვილი სახით გამოცემის“²⁶, რასაც გ. ჟურულმა წინააღმდეგობა გაუწია. მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა კანონპროექტი დაეტოვებინათ პირვანდელი სახით, შესწორებების გარეშე და შემდეგ მიეცათ მისთვის სასურველი სახე:

„ეს არის უფრო ტექნიკური კითხვა გავრცელებისა, რადგან არსებითად იგი მაინც სესხის შინაარსს ატარებს და მსვლელობა ამ ვალდებულებების ისეთივე იქნება, როგორც ფულების და თუ საჭირო იქნება, ჩვენ ინსტრუქციასაც შევიშუშავებთ, რომელიც კანონს დაეყრდნობა“²⁷.

ი. ლორთქიფანიძემ მხარი დაუჭირა ამ კანონპროექტს და აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო გამოეცათ ამ მოკლევადიანი სესხის ფულის ნიშნების სახელმძღვანელო ინსტრუქცია; ასევე ამბობდა ის: „ამ ვალდებულებათ ის დადებითი მნიშვნელობაცა აქვთ, რომ ასეთ დროს ჩვენ ნელ-ნელა ჩამოგვაშორებს ჩვენს მეზობლებს ფულის საქმეში და თანაც იქნება პირველი ჩვენი ცდა შინაურ სესხის აღებისა და მთავრობის მიერ ფულის საქმეში ნდობის მიღებისა ხალხისგან“²⁸.

კ. კანდელაკმა კიდევ უფრო განავრცო ი. ლორთქიფანიძის წინადადება და აღნიშნა, რომ მოკლევადიანი სესხის გამოცემით ისინი გააუმჯობესებდნენ ფულის ტრიალს, იგი იქნებოდა მოსახლეობაში ქართული ფულის ნდობის ამაღლების შესანიშნავი ცდა; ასევე ჯობდა სესხი ჩვეულებრივი ხარჯების დასაფარავად არ გამოეშვათ, რათა მეტი ადამიანი ჩართულიყო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის აღების პროცესში.

განხილვაში მონაწილე ნ. ცინცაძემ თქვა, რომ მათ უნდა ესარგებლათ ხალხის „აღფრთოვანებით“, რათა სესხს მეტი გასავალი ჰქონოდა, მაგალითისთვის კი შეიძლებოდა ფასიანი ქაღალდების სამხედრო სესხის სახით გამოშვება, რასაც მოსახლეობა უფრო მეტი სამოქალაქო თვითშეგნებით შეხვდებოდა და შესაბამისად, მეტი მსურველიც გამოუჩნდებოდა²⁹.

როგორც ჩანს, კანონპროექტის შემუშავებისა და გახილვის პროცესში სესხის გაცემის წინააღმდეგ არც - ოპოზიცია და არც მთავრობის წარმომადგენლობა არ გამოსულა, ყველა ერთხმად თანხმდებოდა მის აუცილებლობაზე.

საბოლოოდ, 1918 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტში მოკლევადიანი 5%-იანი სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებათა გამოსაცემად გაიმართა დამამთავრებელი სხდომა, რომელზეც ერთხმად აღიარეს პარლამენტის მოკლევადიანი სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებების კანონპროექტი:

1. „ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არაჩვეულებრივი ხარჯის დასაკმაყოფილებლად მიეცეს რესპუბლიკის მთავრობას უფლება გამოსცეს 50 მლნ. მანეთის 5% მოკლე ვადიანი სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებანი ერთი წლის ვადით;
2. ვალდებულებანი უნდა იყოს უსახელო და დაიყოს შემდეგ კუპიურებად: 5 000 მან., 1000 მან., 500 მან., 100 მან. და 25-მანეთიანი.

²⁶ სცსა, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 344, ფ. 9.

²⁷ სცსა, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 344, ფ. 9.

²⁸ სცსა, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 344, ფ. 9.

²⁹ სცსა, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 344, ფ. 2.

შენიშვნა: თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი: 5000 მან. და 1000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ და ჩაიწეროს ტფილისის ხაზინის წიგნებში;

3. აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებული იქნეს სახელმწიფო გადასახადისაგან;
4. ვალდებულება გაიცემა და მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალ-გასავლის დასაფარავად და აგრეთვე საწინდარადაც;
5. ვალდებულებათა შექმნა შეიძლება სახელმწიფო ბანკის კანტორაში და განყოფილებაში. რესპუბლიკის ხაზინებში და ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებებში;
6. სარგებელი ვალდებულებების მიმღებთ ეძლევათ წინდაწინ, დღიდან მისი შექმნისა;
7. ვალდებულებათა სარგებლის დასაფარავად შეტანილ იქნას რესპუბლიკის 1919 წლის ხარჯთაღრიცხვაში 2 მილიონ 500 ათასი მანეთი;
8. გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ვალდებულებათა გამოსაცემ ხარჯების დასაფარავად კრედიტი ასი ათასი მანეთისა. რაიცა შეტანილ იქნას 1919 წლის ხარჯთაღრიცხვაში;
9. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მისი მიღებისა პარლამენტის მიერ³⁰.

ეს კანონი ოფიციალურად 1918 წლის 24 დეკემბერს დამტკიცდა. სწორედ ამ დღიდან დაიწყო მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვება. საინტერესოა ამ კანონპროექტის მე-2 პუნქტი, რომელიც ყურადღებას იპყრობს „მარკეტინგული“ გათვლით. როგორც კანონპროექტში განისაზღვრა, ეს მოკლევადიანი ფასიანი ვალდებულებები უსახელო იყო, თუმცა მაღალი ნომინალური ღირებულების მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებების შექმნის შემთხვევაში - 5000 და 1000-მანეთიანის - შესაძლებელი იყო მეპატრონის სურვილის შემთხვევაში მისი სახელობითად გადაკეთება.

50 მლნ. მანეთის ღირებულების ფასიანი ქაღალდების გამოცემა შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. 5000-მანეთიანი - 5 მლნ. მანეთის ღირებულების;
2. 1000-მანეთიანი - 10 მლნ. მანეთის ღირებულების;
3. 500-მანეთიანი - 10 მლნ. მანეთის ღირებულების;
4. 100-მანეთიანი - 15 მლნ. მანეთის ღირებულების;
5. 25-მანეთიანი - 10 მლნ. მანეთის ღირებულების³¹.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონის ემისიის საკითხი და ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა 1918-1921 წლებში

აზერბაიჯანის მიერ საკუთარი ბონის გამოცემის და 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომის შემდეგ ამიერკავკასიის ბონის გამოშვება კიდევ რამდენჯერმე მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს წარსულში საქართველომ და სომხეთმა სამხედრო კონფლიქტი გადაიტანა, საქართველოს მთავრობამ მიმოქცევაში მაინც დატოვა ამიერკავკასიის ბონი, რომელიც ბევრად უფრო ეფექტური და გამოსადეგი იყო ქვეყნის ეკონომიკისთვის, ვიდრე მყისვე მისი შეწყვეტა და საკუთარ ეროვნულ ფულზე გადასვლა. 31 დეკემბრის ბოლოს შეწყდა საომარი კონფლიქტი სომხეთ-საქართველოს რესპუბლიკებს შორის, ხოლო 9-17 იანვარს გამართულ სამშვიდობო

³⁰ სცსა, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 344, ფ. 21.

³¹ სცსა, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 344, ფ. 9.

მოლაპარაკებათა შედეგად მოხერხდა დაზავება და ომის ოფიციალურად დამთავრება, რასაც მალე საბაჟო გადასახადების გაუქმებაც მოჰყვა ამ ორ რესპუბლიკას შორის - ეს ეკონომიკის გასაძლიერებლად კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

საქართველოს ხელისუფლება ხედავდა, რომ კავკასიის რეგიონში არსებული არასტაბილური მდგომარეობისა და მეზობელი სახელმწიფოების არაპროგნოზირებადი პოლიტიკური თვალთახედვის გამო ამიერკავკასიის ბონს სამომავლოდ არსებობა არ ეწერა. საჭირო იყო მისი მაქსიმალურად გამოყენება, თუმცა ამავედროულად ფინანსური ნიადაგიც უნდა მოემზადებინათ დროებითი ეროვნული ფულადი ნიშნების - ბონების - გამოსაცემად. ხოლო ეროვნულ ვალუტაზე გადასვლა მოხდებოდა მას შემდეგ, რაც საქართველოს შეექმნებოდა შესაბამისი ეკონომიკური სიტუაცია.

მართალია, ამიერკავკასიის ბონს საქართველო 1919 წლის ივლისამდე ბეჭდავდა, საკუთარი ქართული ბონის გამოსაშვებად სამზადისს პარალელურად 1918 წლიდან შეუდგა.

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეორე თვეს, 1918 წლის ივნისში, გაიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონის ესკიზების შესარჩევი კონკურსი, რომელსაც საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სახელმწიფო ქალაქების დამამზადებელი ექსპედიცია კურირებდა³².

სპეციალურმა კომისიამ ერთხმად მოიწონა იოსებ შარლემანის ქართული ბონების ესკიზები. სწორედ იოსებ შარლემანის ნამუშევრები დაედო საფუძვლად 1919 წლის ივლისში გამოშვებულ ქართულ ბონებს.

საქართველოს რესპუბლიკის არსებობის ხანაში სახელმწიფოები საკუთარი ფულის ემისიას ახორციელებდნენ ოქროს მარაგის შესაბამისად. 1920-იანი წლების მსოფლიოში მთავარ საემისიო პოლიტიკას „ოქროს სტანდარტი“ წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში საქართველოს საკუთარი ოქროს მარაგი არ გააჩნდა, იგი თავის დროზე რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო ბანკში გადაიტანეს. საქართველოს დამოუკიდებლობას სახელმწიფოს ხაზინა დაცარიელებული შეხვდა.

ასეთ ვითარებაში ეროვნული ვალუტის გამოშვება აბსურდი იყო. ხელისუფლებამ დროებით ჯერ ამიერკავკასიის ფულადი ნიშნების - ბონების, შემდეგ კი საკუთარი ქართული ბონების დაბეჭდვა დაიწყო, სანამ ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია დასტაბილურდებოდა და შეიქმნებოდა შესაბამისი ოქროს ფონდი (რეზერვი), რასაც დაემყარებოდა ქართული ეროვნული ვალუტის გამოშვება.

1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც უნდა გამხდარიყო მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი გარანტი. ამ ფონდში საქართველოს მოსახლეობა ნებაყოფლობით სწირავდა საკუთარ ძვირფასეულობას, ოქროსა და ვერცხლის ნივთებს. შემომწირველთა მასშტაბი საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი იყო: ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, სასულიერო პირები, ვაჭრები (ბიზნესმენები), მთავრობის წევრები და, რაღა თქმა უნდა, ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობა. ვისაც როგორ და რა დოზით შეეძლო, ისე იღებდა მონაწილეობას ქვეყნის ოქროს ფონდის შექმნაში, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქართული ფულის შემდგომი ემისია.

ამ პერიოდის გაზეთ „ერთობის“ ერთ-ერთ ნომერში ერთი ქალბატონი წერდა: „უარყოფთ მკერდისა და მახვილის მოსართავები ყველამ... რას გვიქვია მორთულობა, თუ სამშობლო გასაჭირში

³² სცსა, ფონდი 1891, აღწ.1, საქმე 14 ფ. 3.

გვეყოლება? ქალებო, ნუ დავიშურებთ ჩვენ წვლილს. მე მხოლოდ ჯვრის წერის ბეჭედს ვიტოვებ. სხვა თუ რამ მომეპოვება, ვწირავ დანიშნულებისამებრ!“³³

პირველი რესპუბლიკის დროს სამოქალაქო აქტივობა საკმაოდ მაღალი იყო. გარდა „ქართული ფულის ფონდისა“, არსებობდა „ფრონტის დამხმარე კომიტეტიც“, ომის დროს ხალხს იქ შეეძლო სურვილისამებრ შეეწირა თანხა და სანოვაგე საქართველოს არმიისთვის. იყო მრავალი შემთხვევა, როდესაც ფრონტზე მოსახლეობა სანოვაგესა და ფულად სახსრებთან ერთად გამამხნეველ წერილებსაც აგზავნიდნენ საკუთარ ბავშვებს ჯარისკაცებისთვის.

მაგალითად, 1920 წელს ქართველმა მეწარმემ ივანე ვარაზაშვილმა მთავრობას ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად 1015000 მანეთი უბოძა³⁴.

ამგვარად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახლად წარმოქმნილი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში მონაწილეობას მთავრობასთან ერთად მოსახლეობაც აქტიურად იღებდა.

სახელმწიფო გეგმავდა უახლოეს მომავალში ოქროს მარაგის შექმნას უცხოური სახელმწიფოებისგან, თუმცა ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმა საქართველოს მთავრობამ 1921 წლის ოკუპაციის გამო ვეღარ მოასწრო:

„რაც შეეხება ქართულ ვალუტის შექმნას, რასაკვირველია, ეს ისე ადვილი არ არის, ქართულ ფულს უნდა ჰქონდეს რეალური ფონდი და რეალურ ფონდად არ შეიძლება ჩაითვალოს ტყე-მამულები, საჭიროა ოქრო, ხოლო ოქროს დღევანდელ პირობებში ვერ ვიშოვნით იმიტომ, რომ ის ევროპიდან თითქმის სრულიად წავიდა ამერიკაში და სანამ პოლიტიკურად და ეკონომიკურად არ დავუახლოვდებით ამერიკას, ოქროს სესხება ძნელია“³⁵, - აცხადებდა პარლამენტის სხდომაზე გერონტი ქიქოძე.

დამფუძნებელი კრების აღნიშნულ სხდომაზე გერონტი ქიქოძე გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ საკუთარი ოქროს ფონდის შესაქმნელად მთავრობას უნდა შეეძინა დაახლოებით ოცი მილიონი მანეთის ეკვივალენტი ოქრო. მისივე აზრით, სანამ ამერიკასთან საქართველოს არ ექნებოდა მჭიდრო პოლიტიკური კონტაქტი, მანამდე ეროვნული ვალუტის მაგივრად დროებითი საქართველოს ბონების გამოცემა იქნებოდა უპრიანი.

საქართველოს მთავრობამ, მართალია, ვერ მიიღო ოქრო მეზობელი სახელმწიფოებისგან, თუმცა ადგილობრივ შეეცადა ამ პრობლემის გამკლავებას და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბადოებიდან დაიწყო ნელ-ნელა ძვირფასეულობის გამოსყიდვა, რათა შექმნილიყო პირველადი ბაზა საკუთარი ვალუტის გამოსაცემად.

1918 წლის 2 ოქტომბერს მთავრობამ გახსნა 472.000 მანეთის ოდენობის კრედიტი საკუთარი 10-მილიონიანი სარეზერვო ფონდიდან ალავერდის ქარხნის გამომუშავებული ოქრო-ვერცხლის შესაძენად³⁶.

ზემოხსენებული მიზნის განსახორციელებლად დაიდო ხელშეკრულება კავკასიის სამრწველო-მეტალურგიულ საზოგადოებასთან.

1918 წლის 2 ოქტომბრიდან 1919 წლის 2 ოქტომბრამდე, ერთ წელიწადში, საქართველოს მთავრობამ ალავერდის ქარხნიდან შეისყიდა:

³³ ნიკო ჯავახიშვილი, „ქართული ბონისტიკა“, გვ. 43.

³⁴ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., #286, გვ.3.

³⁵ საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიული ანგარიშები, სხდომა N-61, გვ. 28.

³⁶ სცსა, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 571, ფ. 1.

1. 147 ნაჭერი ოქრო წონით: 1 ფუთი, 29 გირვანქა და 73 მისხალი;
სტანდარტული გამოანგარიშებით - 29.0828 კგ ოქრო;
2. 17 ნაწილი და 55 ნაჭერი ვერცხლი წონით: 50 ფუთი, 21 გირვანქა და 64 მისხალი;
სტანდარტული გამოანგარიშებით - 828.2487 კგ ვერცხლი.

რაშიც 351 მლნ. 082 მანეთი და 81 კაპიკი გადაიხადა³⁷.

მართალია, საქართველომ ვერ მოახერხა უკვე მზა ოქროს მარაგის შექმნა მეზობელი სახელმწიფოებისგან, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც იპოვა გამოსავალი, დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქარხნებისთვის შეკვეთების მიცემა და ნელ-ნელა ოქროს მარაგის შესყიდვა. ამ ფაქტს ჰქონდა თავისი ნეგატიური მხარეც, კერძოდ, დროში გაჭიანურება. თუკი უცხოეთიდან საქართველოს მთავრობას შეეძლო ერთიანად შეესყიდა საჭირო რაოდენობის ოქროს მარაგი, საქართველოში მას ნელ-ნელა უხდებოდა მისი შესყიდვა და რეზერვად გადაქცევა.

1919 წლის ივლისში, მომავალი ქართული ბონების ესკიზთა შესარჩევი კონკურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, კ. კანდელაკი მთავრობას სწერდა: „დადგა დრო საკუთარი ფულის ნიშნის აუცილებლობის შესახებ... ჩვენ ვფიქრობთ ნამდვილ ფულის გამოცემა ახლა შეუძლებელია, რადგანაც არც ვალუტა გვაქვს, ვალუტის საკითხიც მთელ მსოფლიოში დიდ კამათს იწვევს დღევანდელი ფულის საკითხის მდგომარეობის გამო და არც აწინდელი ჩვენი ეკონომიკური ვითარება გვიწყობს ხელს ნამდვილი ფულის გამოშვებისათვის. ამნაირად ისევ საქართველოს ბონებზე უნდა შევჩერდეთ“³⁸. ამასთან, კ. კანდელაკი გამოთქვამდა აზრს, რომ პირველი ქართული ფულის ემისია 300 მილიონი მანეთის ოდენობით უნდა განხორციელებულიყო, რადგან წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე სახელმწიფო და კერძო საკრედიტო დაწესებულებების საჭიროებისთვის თვეში დაახლოებით 80 მილიონი მანეთის ბონი იყო აუცილებელი.

ქართული ბონის გამოცემამდე სპეკულანტებისა და კერძო საკრედიტო დაწესებულებების მფლობელთა ძალისხმევით საზოგადოებაში აგორდა მითი თითქოს ქართული ბონი გამოცემისთანავე თავის მყიდველუნარიანობას დაკარგავდა და გაუფასურდებოდა. ბანკების უმრავლესობა, რომლებიც კერძო პირთა ხელში იყო, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით იყო დაკავებული. მათ თავიდანვე გამოუცხადეს საქართველოს მთავრობას ბოიკოტი ქართული ბონის გამოშვების თაობაზე და დაიმუქრნენ მისი არმიღებით.

საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო ძალის გამოყენება, თუმცა ერიდებოდა, რადგან ამას შესაძლოა მოსახლეობის აღელვება მოჰყოლოდა.

ერთადერთი, ვინც მხარი დაუჭირა ახალი ბონების გამოცემას, იყო რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის კანტორის გამგე ედუარდ ბერგი. მან მხარი დაუჭირა საქართველოს ხელისუფლების წინადადებას, 1919 წლიდან მიმოქცევაში გაეშვა საქართველოს რესპუბლიკის ბონი, ხოლო ამიერკავკასიის ბონის ემისია შეეწყვიტა.

ქართული ბონის გამოცემის წინა ხანებში სპეკულანტები და პროვოკატორები მოსახლეობაში ავრცელებდნენ დეზინფორმაციას ფულის რეფორმასთან დაკავშირებით საზოგადოებაში პანიკის დასათესად.

შეშინებული მოსახლეობა აწყდებოდა შემნახველ სალაროებს საკუთარი თანხის გასატანად. მუშაობაში აქტიურად ჩაირთო ე. წ. შავი ბირჟაც.

³⁷ სცსა, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 571, ფ. 1.

³⁸ სცსა, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 538, ფ. 5.

შექმნილ სიტუაციას ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო კარგად აცნობიერებდა. სახელმწიფო საფინანსო წრეებში ესმოდათ, რომ ახლად გამოსულ ქართულ ბონს ნიკოლოზის დროინდელი საკრედიტო ბილეთებისთვის, „კერენკების“³⁹ და ამიერკავკასიის ბონებისთვის უნდა გაეწია კონკურენცია. ამ უკანასკნელს, ამიერკავკასიის ბონს, საზოგადოება სრულებით შეჭვეული და შეგუებული იყო. ასეთ ვითარებაში ახალი ქართული ბონის გამოშვება და ამიერკავკასიის ბონის ემისიის შეწყვეტა მაღალ რისკთან იყო დაკავშირებული, შესაძლოა ქართულ ბონს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბონის ბედი გაეზიარებინა.

კონსტანტინე კანდელაკის თქმით: „ოქროს საფუძველს მოკლებულ ქაღალდების ფულს ამაგრებს საზოგადოების ნდობა, სახელმწიფო რეჟიმის სიმტკიცე, ეროვნული შეგნება და დისციპლინა ამ ფულის ღირსების დაცვისთვის - მეტი არაფერი“⁴⁰. მთავრობას ყველაფერი უნდა ელონა ქართული ბონის გამოცემის დღიდან, ატეხილი აურზაურისა და დეზინფორმაციის მიუხედავად, მოსახელობას არ დაეკარგა ქართული ფულის ნდობა, რადგან „ერთხელ სახელგატეხილი, ვეღარ გამობრუნდებოდა“⁴¹.

მთავრობამ და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შესაბამისი ზომების მიღება დაიწყო. საწყის ეტაპზე, საქართველოს ბონის გამოცემამდე, თბილისის რუსეთის ყოფილი სახელმწიფო ბანკის კანტორაში საიდუმლოდ შეიქმნა „ნიკოლოზის“, „კერენსკის“ და ამიერკავკასიის ფულის ნიშნების სპეციალური მარაგი. ქართული ბონის გამოშვებამდე უკიდურესად შეიზღუდა სალაროებიდან ნაღდი ფულის გამოტანა. მის მაგივრად ხელზე ჩეკებს გასცემდნენ.

1919 წლის 8 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა „საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის“ დეკრეტი, რომელიც ძალაში 1919 წლის 11 ივლისს შევიდა. მასში ნათქვამი იყო:

1. „ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამასი მილიონი მანეთისა;
2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებულ იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშვალეებით ბონები გამოყიდულ უნდა იქნეს;
3. საქართველოს რესპუბლიკის ბონები უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით;
4. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონის თანაბრად;
5. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს ერთის, სამის, ხუთის, ათის, ოცდახუთის, ორმოცდაათის, ასის და ხუთას მანეთის კუპიურებისა;
6. საქართველოს რესპუბლიკის ბონი დამზადებულ უნდა იქმნეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და გადაეცეს ტფილისის ხაზინას შესანახად და ხმარებისათვის გამოსაშვებად;

³⁹ რუსეთის დროებითი მთავრობის მმართველობის პერიოდში გამოშვებული დროებითი ქაღალდის ფულადი ნიშნების სახელწოდება, რომელსაც „კერენკები“ რუსეთის დროებითი მთავრობის მეთაურის, ალექსანდრე კერენსკის, გვარის მიხედვით რუსეთის მოსახლეობამ შეარქვა.

⁴⁰ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 68.

⁴¹ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 69.

7. საქართველოს რესპუბლიკის ბონი, რომელსაც აკლია ერთი მესამედი ან ერთ-ერთი ხელ-მონაწერი, ან ნომერი უვარგისად ჩაითვლება და არ მიიღება;
8. ყალბი ბონის დამზადებისა ან გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით;
9. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ⁴².

1919 წლის 11 ივლისის დღეს კონსტანტინე კანდელაკი ასე იხსენებს:

„საქართველოს ბონის“ გამოშვებისთვის დანიშნულ დღეს დილიდანვე აუარებელი ხალხი მიაწყდა სახელმწიფო ბანკის კარებს, ბევრი მათგანი ალბათ რაიმე სკანდალის მოლოდინში. ხოლო დიდი იყო გაკვირვება, როცა ბანკის კარებზე სრულიად მოულოდნელი განცხადება წაიკითხეს: „საქართველოს ბონი თავისუფლად ხურდავდება რუსეთის საკრედიტო ბილეთებზე და ამიერ-კავკასიის ბონებზე“ და იმის დასამტკიცებლათ, რომ ეს განცხადება უბრალო დეკლარაცია არ იყო, კასირები ეკითხებოდნენ კლიენტებს: „რომელი ნიშნით გსურთ ფულის მიღება - ქართულით, „ნიკოლოზის“ თუ ამიერ-კავკასიისო“. ასეთი წინადადება მით უფრო გასაკვირი იყო კლიენტებისთვის, რომ „ნიკოლოზის“ ფული დიდი ხანია სავსებით გამქრალიყო ბაზრიდან და მხოლოდ შავ ბაზარზე თუ იშოვნებოდა იგი. კერძო კლიენტების უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ძველი ფულის ნიშნებს თხოულობდა და მხოლოდ მცირე ნაწილი საქართველოს ახალ ფულს, ბევრი მათგანი უფრო ცნობის მოყვარეობით. პირველ დღეს სახელმწიფო ბანკიდან გაიტანეს ამიერ-კავკასიის ბონის და რუსეთის ძველი საკრედიტო ბილეთების დაგროვილ რეზერვის დიდი ნაწილი, მეორე და მესამე დღეს უფრო და უფრო ნაკლები და დაახლოებით ათი დღის შემდეგ ბანკის კლიენტურას არც კი აინტერესებდა, თუ რომელი ნიშნით მისცემდნენ მას ფულს - საქართველოს, ამიერ-კავკასიის ბონის თუ რუსეთის. ხმა გავარდა, საქართველოს ახალი ფულის და წინად არსებულ რუსის და ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებს შორის მართლა არაფერი განსხვავება ყოფილაო! და ეს ხმა საკმარისი იყო, რათა საზოგადოებაში არსებული შიში გამქრალიყო და საქართველოს ბონის საზოგადოება ნდობით მოპყრობოდა⁴³.

ამგვარად, საქართველოს დემოკრატიური რესპუბლიკის მთავრობამ 1919 წელს მოახერხა ეროვნული ბონის გამოცემა, მან მძიმე ეკონომიკურ პირობებს გაუმლო, არ დაკარგა ხალხის ნდობა, ამავდროულად ამიერკავკასიის კომისარიატის ბონისა და რუსეთის ფულადი ნიშნების პარიტეტული იყო, რის საფუძველზეც შეეძლო თავისუფლად მიმოიქცევა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის პოსტიმპერიულ ქვეყნებშიც. საქართველოს ბონმა ეს „უფლება“ და „პრიორიტეტი“ თავისი არსებობის განმავლობაში შეინარჩუნა. კურსის სიმყარით კი საქართველოს ბონი, მიუხედავად ინფლაციისა, ყველაზე მტკიცე ვალუტად ითვლებოდა კავკასიის რეგიონში 1919-1921 წლებში, რაც მთავრობის, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა და საქართველოს ცენტრალური ბანკის (1920 წლიდან) ერთობლივი, მიზანმიმართული და პროფესიული საქმიანობის შედეგი იყო.

1919 წლის 11 ივლისიდან გამოიცა 300 მილიონი მანეთის ღირებულების 1, 3, 5, 10, 25, 50, 100 და 500 მანეთის ნომინალის ბონები, რომელთაც მალევე შეემატა 50-კაპიკიანი(კაპიკიანი) ქალაქის ხურდა ფული, ხოლო 1920 წლიდან - უკვე 1000 მანეთის ნომინალის ბონი.

1919 წლის 11 ივლისის დეკრეტის საფუძველზე გამოცემული 300 მილიონი ქართული მანეთი არ აღმოჩნდა საკმარისი გაწერილი ხარჯების დასაფარავად.

⁴² სცსა, ფონდი 1833, აღწ.1, საქმე 538, ფ.6.

⁴³ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 70, პარიზი.

1919 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისთვის ფინანსთა სამინისტროს მიერ გაგზავნილ მოხსენებაში, ნათქვამი იყო, რომ 11 ივლისს განხორციელებული ემისია არ იქნებოდა საკმარისი და საჭირო იყო ახალი ემისია. 3 თვეში, 11 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე, ფინანსთა სამინისტრომ გამოუშვა 247 656 800 მანეთი. ამ დეკრეტით გამოსაცემად დარჩენილი იყო მხოლოდ 52 მილიონი მანეთის დაბეჭდვის უფლება, რაც, ცხადია, არ იყო საკმარისი ქვეყნის ხარჯების დასაფარავად და მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ამავე მოხსენებაში საუბარი იყო იმ ძირითადად მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია 1919 წლის ივლისის დეკრეტის უკმარისობა. მიზეზებად მოქმედი სამხედრო ფრონტის არსებობა, ზოგიერთ სამხედრო შენაერთთა ლიკვიდაციისთვის გაწეული ხარჯები და ამიერკავკასიის ძველი ბონების ახლით, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბონით, ჩანაცვლების პროცესი სახელდებოდა. ახალ ემისიად ფინანსთა სამინისტრო ასევე 300 მილიონი მანეთის გამოშვების უფლებას ითხოვდა მთავრობისგან⁴⁴. დამფუძნებელმა კრებამ განიხილა დეკრეტი „რესპუბლიკის ბონების გამოცემის განგრძობის შესახებ“ და საბოლოოდ 1919 წლის 7 ნოემბერს მიიღო⁴⁵.

ქართული ბონი, მსგავსად ამიერკავკასიის ბონისა, გაუფასურების გზას ადგებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მთავრობას საკუთარი ფულის კურსის ვარდნის შესაჩერებლად საგარეო სესხის აღება მიაჩნდა. საგარეო სესხით შეიძლებოდა როგორც ოქროს მარაგის შექმნა, ასევე უკვე გამოშვებული დროებითი ფულადი ნიშნების - ბონების - ამოსყიდვა. შესაძლებელი იყო ასევე მყარ უცხოურ ვალუტაზე, მაგალითად ბრიტანულ ფუნტ სტერლინგზე, დაყრდნობით საკუთარი ფულის გამოშვება. ამგვარად, ოქროს რეზერვის მაგივრობა უნდა გაეწია უცხოურ მყარ ვალუტას, რომელსაც საქართველოს მთავრობა დროებით ისესხებდა.

26 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან საქართველო კაიზერული გერმანიის გავლენის ქვეშ მოექცა. ასეთ ვითარებაში ბრიტანული ფუნტი სტერლინგის სესხება აბსურდული იყო, ვინაიდან საქართველოს მოკავშირე გერმანია ბრიტანეთის მოწინააღმდეგე იყო.

საქართველოს მმართველ წრეებში მუსირებდა აზრი გერმანიიდან გერმანული მარკის სესხებაზეც, რადგან იგი გამყარებული იყო გერმანიის სახელმწიფო ოქროს რეზერვებით.

1918 წლის 3 ივნისს საქართველოს ეროვნული საბჭოს საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა იმჟამინდელი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი ფინანსების განხრით კონსანტინე კანდელაკი, რომელმაც აღნიშნა, რომ: „ფინანსიურ წრეებში ომის დამთავრებამდეც შესაძლებლათ მიაჩნიათ სამას მილიონამდე გერმანული მარკის სესხება, მაგრამ საქართველოს პასიური ბალანსი საეჭვოს ხდის ასეთს ზომას...უეჭველია, რომ მარკა ჩქარა გაქრება საქართველოს ბაზრიდან“⁴⁶.

კონსტანტინე კანდელაკის მოსაზრება გამართლდა, მალე გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა, ხოლო გერმანული მარკა ცარიელ ქალაქად გადაიქცა. კავკასიის რეგიონი ბრიტანეთის იმპერიას გადაეცა. 1919 წლიდან საქართველოს მოკავშირედ ხდება ბრიტანეთის იმპერია, რომელმაც საკუთარი სამხედრო კორპუსი შემოიყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, ბათუმის ოლქი კი საკუთარ იურისდიქციაში მოაქცია.

ქართული ბონის გამოშვებამდე საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად მიმოქცევაში იყო: ამიერკავკასიის ბონი, მეფის რუსეთის საკრედიტო ბილეთები, რუსეთის 1917 წლის დროებითი მთავრობის მიერ გამოშვებული ქალაქის ფულები, ე. წ. „კერენკები“, თურქული ლირა, ხოლო

⁴⁴ სცსა, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 572, ფ. 1.

⁴⁵ სცსა, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 572, ფ. 11.

⁴⁶ სცსა, ფონდი 1836, აღწ.1, საქმე 309, ფ. 2.


შემდეგ გარკვეული ოდენობით ბრიტანული გირვანქა სტერლინგი, რომელიც მიმოქცევაში ტრიალებდა ბათუმის ოლქში არსებული ბრიტანული სამხედრო კორპუსის ხარჯზე.

მუდმივ საომარ ვითარებაში მყოფი საქართველოს ეკონომიკა დღითი დღე განიცდიდა დაქვეითებას, მიუხედავად მთავრობის მცდელობებისა, გაეუმჯობესებინა სიტუაცია.

მზარდი რაოდენობით ამიერკავკასიის ბონის ბეჭდვისა და შექმნილი ეკონომიკური სიტუაციის ფონზე მისი კურსი საგრძნობლად დაეცა:

1918 წლის დეკემბერში 1 ბრიტანული გირვანქა სტერლინგი 40 მანეთი ღირდა, 1919 წლის იანვარში - 55 მანეთი, თებერვალში - 100, მარტში - 150, აპრილში - 190, მაისში - 250, ივნისში - 300, ხოლო 1919 წლის ივლისში 1 გირვანქა სტერლინგის კურსმა 350 ამიერკავკასიის მანეთი-ბონი შეადგინა⁴⁷.

1919 წლისთვის ამიერკავკასიის ბონის კურსი ოქროს მანეთთან მიმართებაში ასეთი იყო:⁴⁸



ხოლო რაც შეეხება საქართველოს ბონს, რომლითაც მოხდა 1919 წლის ივლისისთვის ამიერკავკასიის ბონის ჩანაცვლება, მისი კურსი 1 ოქროს მანეთთან შეადგენდა: ⁴⁹

⁴⁷ ნიკო ჯავახიშვილი, „ქართული ბონისტიკა“, გვ. 35.

⁴⁸ თამარ ათანელიშვილი, „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, თბილისი, 2006 წ., გვ. 111.

⁴⁹ თამარ ათანელიშვილი, „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, გვ.111.

საქართველოს რესპუბლიკის ბონის კურსი 1919 წლის თვეების მიხედვით



ქვეყანაში მზარდი ფულის ბეჭდვასა და ინფლაციას კერძო საკრედიტო დაწესებულებებისთვის ხალხის უნდობლობის გამოცხადებაც უწყობდა ხელს. მოსახლეობას იმის მაგივრად რომ საკუთარი თანხა ანგარიშზე შეეტანა ბანკებში, ამჯობინებდა მათ შენახვას თავადვე, რადგან ბანკები ხშირად მენახბრეებს საკუთარ თანხებს აღარ უბრუნებდნენ.

რადგან ფულის მიმოქცევა საზოგადოებაში მოუწესრიგებელი იყო, მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ თანხას სახლში ინახავდა და არა საკრედიტო დაწესებულებებში, შესაბამისად, გამოშვებული ფული მიმოქცევიდან „იკარგებოდა“, საჭირო იყო ახალ-ახალი ფულადი ერთეულების გამოშვება, რაც თავისთავად ინფლაციას უწყობდა ხელს.

ქვეყანაში გამეფებულ ასეთ სავალალო სიტუაციას კარგად აღწერს, „ამიერკავკასიის კომისარიატის 300 მილიონ მანეთის ბონის პასუხისმგებლობისა და ორასი მილიონ მანეთის ბონის ახლად გამოცემის შესახებ კანონ-პროექტის“ განმარტებითი ბარათი⁵⁰:

„სახელმწიფო ვალუტის ტრიალის მოწესრიგება წარმოადგენს ერის აუცილებელ პირობას ფინანსურ პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

უთვალავ დაწესებულებათა ლიკვიდაცია, აუარებელი სამხედრო და სიძვირით გამოწვეული სხვა სახელმწიფო ხარჯები და სხვა მრავალი გარემოება იმდენ ფულს თხოულობს, რომ ჩვენი საბეჭდავი მანქანა ვერც კი ასწრებს ბეჭდვას ამ ხარჯების დასაფარავათ საჭირო ბონების ნაწილისას, მიუხედავად იმისა, რომ იგი განუწყვეტლივ მუშაობს, თუმცა ვგრძნობდი, რომ ამ ბონების ბეჭდვას, თუ იმათი ნორმა მალე სრულიად გარკვეული და განსაზღვრულ პირობებში არ იქნება ჩაყენებული, შეუძლია ჩვენი სახელმწიფო საშინელ ფინანსურ კატასტროფამდის მიიყვანოს.

ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებით იმითაა ძნელი, რომ საბეჭდავიდან გამოსული ფული უგზო-უკლოდ იმალება, არ სჩანს იმის ტრიალი საზოგადოებაში და ფულის ბაზარი სულ ახალსა და ახალი ფულის ნიშნებს მოითხოვს. ასეთი გარემოების გამო ისეთი საკრედიტო დაწესებულებიც კი, რომელთაც დიდი პასივი აქვთ, ვერავითარ აქტივის ოპერაციებს ვერ აწარმოებენ. ეს კი საშინლად აფერხებს ქვეყნის მთელ ეკონომიკურ ცხოვრებას, ვინაიდან არსებული საზოგადოებრივი მეურნეობის პირობებში შეუძლებელია მწარმოებელ ძალათა განვითარება საკრედიტო ოპერაციების განუვითარებლად.

რა თქმა უნდა, ხალხში ფული არის. თუ შესაძლებელი იყო რუსეთის ფულის ნიშნები ჩვენგან სხვა მხარეში წასულიყო, ეს არ ითქმის ამიერ-კავკასიის ბონების შესახებ: იმას ჩვენი ქვეყნის გარეშე

⁵⁰ სცსა, ფ. 1891, აღწ.1, საქმე 116, ფ. 51-52.

გასავალი არა აქვს. მაშ რად მალავს ამ ბონებს საზოგადოება, რად არ აბარებენ იმას შესანახად შეძლებული და საშუალო კლასები საკრედიტო დაწესებულებებს?

ამის მიზეზი ისაა, რომ საზოგადოება არაა დარწმუნებული, რომ ფულს საჭიროების დროს აუცილებლად და დაუბრკოლებლად მიიღებს უკან ბანკიდან. პირველად საზოგადოება მაშინ დაფრთხა, როცა ჩვენ, რუსეთს მოწყვეტილნი, სრულიად უფულოდ დავრჩით. შედეგად, თუმცა ამიერ-კავკასიის მთავრობამ ბონები გამოსცა, მაგრამ იყო შემთხვევები, რომ ბანკები ფულს არ იძლეოდნენ, რადგან ექსპედიცია ვერ ასწრებდა საკმაო ბონების ბეჭდვას. ამან უფრო განამტკიცა შიში ფულის პატრონებისა, ამიტომ იგი, როცა ბანკი იძლევა ნორმას, შემთხვევას არ უშვებს, მიიღოს თავისი წილი და შინ შეინახოს იმ მომენტისათვის, როცა შეიძლება კასა კვლავ დაიკეტოს.

დასასრულ, იმ გარემოებამაც იქონია გავლენა, რომ რუსეთში ბოლშევიკები სხვადასხვა ადგილას იძულებით სესხს მიმართავდნენ ხოლმე და თუმცა ამას არსად შესაფერი ნაყოფი არ გამოუღია, ჩვენშიც იყო ზოგჯერ ლაპარაკი ასეთი ზომის შესახებ.

ერთი სიტყვით, ფულის პატრონები, - არათუ კერძო პირები, დაწესებულებანიც კი, - შინ მალავენ ფულს, სახიფათო პირობებში, რასაც, მოგეხსენებათ, არასასრულველი შედეგიც მოჰყვა.

ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა ხელი შევუწყოთ ფულის გამოჩენას და იმის საკრედიტო დაწესებულებებში დაგროვებას. რაც მეტი ფული გამოჩნდება, მით ნაკლები ბეჭდება დაგვჭირდება ბონების. საკრედიტო დაწესებულებანიც თანდათან ნორმალურ პირობებში ჩადგებიან და შესაძლებელი გახდება აქტივის ოპერაციების აღდგენა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მრეწველობის გამოცოცხლებას.

ამისთვის მთავრობამ ნება უნდა დართოს საკრედიტო დაწესებულებებს დღეიდან ფული მიიბარონ პირობით, რომ ვინც ნაღდათ შეიტანს ფულს კასაში შესანახათ, იმას ნაღდი ფულითვე დაუბრუნდება შეტანილი თანხა დაუბრკოლებლად და მოთხოვნილებისთანავე. ეს შეეხება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებს. აღნიშნულ პირობით მიღებულ ფულისათვის საკრედიტო დაწესებულებებმა განსაკუთრებული ანგარიში უნდა აწარმოონ და ამ ანგარიშით შემოსული ფული არ შეიძლება სხვა რაიმე დანიშნულებას მოხმარდეს, სანამ ცოტათ თუ ბევრათ არ იქმნება აღდგენილი ნდობა ბანკებისადმი, სახელმწიფო ბანკმა თავის მხრივ უზრუნველ უნდა ჰყოს კერძო ბანკები, რომ იგი დღეიდან მობარებულ ნაღდს ფულს ნაღდათვე დაუბრუნებს იმათ მოთხოვნილებისთანავე.

ხოლო საზოგადოების ფართე წრეები, რომ ასეთ დადგენილებას მეტის ნდობითვე მოეპყრონ, ამისათვის საჭიროა ჩვენმა მთავრობამ ისიც აღიაროს, რომ იგი წინააღმდეგია ყოველგვარი იძულებით სესხისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამის ნებას არავის მისცემს“.

შექმნილ რთულ ფინანსურ-ეკონომიკურ სიტუაციას ემატებოდა ქვეყნის შიგნით არსებული საშუალებების სრულად გამოუყენებლობა, კერძოდ: ბათუმის ოლქი, რომელიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენდა საქართველოსთვის, მას მხოლოდ 1920 წლის ივლისში გადაეცა. 1920 წლამდე ბათუმს ჯერ ოსმალეთი (1918 წლის აპრილ-დეკემბერი), ხოლო შემდეგ დიდი ბრიტანეთი აკონტროლებდა.

საქართველო რაციონალურად ვერ იყენებდა საკუთარ რკინიგზას, რომელსაც ლომის წილი ეკისრებოდა ქვეყნის ეკონომიკის აღმშენებლობაში. როგორც ნოე ჟორდანიას აღნიშნავდა:

„ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობას ამძიმებს რკინის გზა, რომელიც დიდ დეფიციტს იძლევა. ეს აიხსნება თვით მისი მუშაობით. ეს გზები იძულებული იყვნენ თავისივე საშუალებით გადაეყვანათ ჯერ რუსის ეშელონები, მერე გერმანელები და ოსმალს ჯარები, შემდეგ კიდევ ოსმალოები და ბოლოს ინგლისელები. ამით მას თავს დაატყდა მეტად დიდი ტვირთი და ყოველივე ეს უნდა

ეზიდა არსებულ ტექნიკურ საშვალეზბით. ამით, რასაკვირველია, ეს საშვალეზბანი გაცვდა, გადნა, გამოცვლა არ შეიძლეზბოდა და მხოლოდ მის შეკეთეზბით ვცხოვრობთ“⁵¹.

სახელმწიფო სათავისოდ ვერ იყენეზბდა სარკინიფოზო მაგისტრალეზბს. მოუწესრიგეზბელი იყო საგადასახადო სისტემა დაბეზბსა და სოფლის დასახლეზბეზბში. სპეკულაცია მაღალ დონეზე იყო განვითარეზბული: „დღეს, ამ სპეკულაციის ხანაში, ძნელია ქონეზბის კადასტრის შედგენა, ვინაიდან დღევანდელი ღარიბი ხვალ უცეზბ მდიდრდეზბა და დღევანდელი მდიდარი ხვალ უცეზბ ღარიბდეზბა“⁵².

საგადასახადო სისტემის მოუწესრიგეზბლობაზე ოპოზიცია მთავრობას მუდმივად აკრიტიკეზბდა, რასაც მმართველი პარტია ობიექტურად იღეზბდა, რადგან თვითონაც არ უარყოფდა ქვეყანაში ამ პრობლეზბის არსეზბობას.

საქართველოს მასშტაბით ისეთ დიდ ქალაქეზბში, როგორეზბიც იყო: თბილისი, ქუთაისი, სოხუმი და ფოთი გადასახადეზბის აკრეზბა ევალეზბოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუტთან(ის ქვეშ) არსეზბულ, ცალკე გამოყოფილ ხარჯთამკრეზბ მილიციას, რომელსაც გადასახადეზბის აკრეზბაში კოორდინაციას ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველოზბის სამინისტროს საგადასახადო ინსპექცია უწეზბდა.

შედარეზბით პატარა ქალაქეზბში, დაბეზბსა თუ სოფლეზბში გადასახადეზბის აკრეზბა ევალეზბოდა არა სპეციალურად შსს-ს მიერ გამოყოფილ ხარჯთამკრეზბ მილიციას, არამედ ადგილობრივი მაზრისა თუ სოფლის საერთო მილიციას⁵³.

ამასთან დაკავშირეზბით, პარლამენტის წევრი პეტრე ქვათაძე აღნიშნავდა, რომ სწორედ ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველოზბის ქვეშ იმ სპეციალური უწყეზბის არარსეზბობა, რომელიც მოახდენდა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან დამოუკიდებლად გადასახადეზბის აკრეზბას, იყო ქვეყნის შიგნით, მოსახლეობაში, გადასახადთა მოუწესრიგეზბლობის და მისი არასათანადო რაოდენოზბით აკრეზბის მიზეზი. მისი აზრით, ამ ყოველივეს განაპირობეზბდა თვითონ მილიციის სტრუქტურა და მისი მოწყობა, რადგან მისი მუშაოზბის სპეციფიკიდან გამომდინარე იგი არ იყო მზად, გასძლოლოდა გადასახადეზბის აკრეზბას, რაც ასევე მილიციის სხვა მრავალი ვალდებულებეზბის შესრულებით აიხსნეზბოდა: „რაკი მილიციას მრავალი სხვა ვალდებულება აქვს დაკისრეზბული და მისი მოვალეობა ფრიად გავრცელებული არის, ამიტომ გადასახადის აკრეფის საქმეს ვერ ასწრეზბს მილიცია და ვერ ანდომეზბს იმდენ დროს და ენერგიას, რომელსაც საქმის ინტერესი მოითხოვს“⁵⁴.

ამ მოსაზრეზბას მმართველი პარტია იზიარეზბდა. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველოზბის სამინისტრო განმარტავდა, რომ ხარჯთაკრეზბის სისტემის გასაუმჯობესებლად საქმიანობა დაწყეზბული იყო, საწყის ეტაპზე ხარჯთაკრეზბა ევალეზბოდა მილიციას, რადგან ვერ ხერხდებოდა დამატეზბითი სახსრეზბის გამოყოფა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველოზბის სამინისტროსთვის სპეციალური სამსახურის შესაქმნელად, რომელსაც დაევალებოდა ხარჯეზბის აკრეზბა მოსახლეობაში.

როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნის ეკონომიკაზე, ინფლაციის გამომწვევ მიზეზეზბეზბე, არ შეიძლეზბა უყურადღებოდ დავტოვოთ ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა.

⁵¹ კ. კანდელაკი „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“; წიგნი მეორე, გვ. 51.

⁵² კ. კანდელაკი „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“; წიგნი მეორე, იქვე. გვ. 51.

⁵³ საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიული ანგარიშეზბი, სხდომა N-61, გვ. 11.

⁵⁴ საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიული ანგარიშეზბი, სხდომა N-61, გვ. 6.

საომარ ვითარებაში მყოფი სახელმწიფოს ბიუჯეტის 30%-ზე მეტი მუდმივად ქვეყნის თავდაცვაზე იხარჯებოდა, რაც მტკივნეულად აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასა და ფულის კურსის სიმყარეზე.

1918-1919 წლებში შემოსავალმა შეადგინა 174 მლნ. მანეთი, მაშინ როდესაც გასავალი 663 მლნ. მანეთზე მეტი იყო.

1919-1920 წლებში შემოსავალმა 771 მლნ. მანეთი შეადგინა, ხოლო გასავალმა - 3 მილიარდ 252 მლნ. მანეთი⁵⁵.

ქვეყნის ეკონომიკის დაცემას მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა სპეკულანტთა და საქართველოს ტერიტორიაზე შეგზავნილ აგენტთა საქმიანობა. სპეკულაციების საწინააღმდეგოდ სხვადასხვა ქალაქის გამგეობების თაოსნობით შეიქმნა სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებები, რომელთა მთავარ მიზანს ბაზარზე პროდუქციის ფასების რეგულირება, მოსახლეობისთვის კი პროდუქტის ნორმალურ, რეალურ, ზოგჯერ კი უფრო დაბალ ფასშიც მიცემა წარმოადგენდა. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურები აქტიურ საგამომიებო სამუშაოებს ეწეოდნენ სპეკულანტთა და შემოგზავნილ აგენტთა გამოსაშკარავებლად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებობდა საგანგებო რაზმი, რომელსაც ევალეზობდა სპეკულანტებისა და უცხოელი აგენტების გამოაშკარავება-დაპატიმრება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 1920 წლის ანგარიშის მიხედვით, საგანგებო რაზმმა 1920 წლის განმავლობაში გამოაშკარავა და დააპატიმრა:

1. ყალბი ფულისა და საბუთების დამამზადებელი 33 პირი;
2. სამსახურებრივ დანაშაულში ბრალდებული 54 პირი;
3. 56 სპეკულანტი⁵⁶.

იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ ქვეყნის შიგნით არსებული სიტუაცია, მაგალითისთვის განვიხილოთ სამტრედიის ქალაქის გამგეობის 1920 წლის მოხსენებითი ბარათი საქართველოს მთავრობისგან 10 მილიონი მანეთის სესხად აღების შესახებ. ბარათში აღწერილია მოსახლეობის ცხოვრების პირობები და არსებული ფინანსური ვითარება:

„გამგეობამ გახსნა სასურსათო მაღაზია და საყასბო, რიგში იდგა აფთიაქის გახსნა. როდესაც გამგეობა ამ სავაჭროებს ხსნიდა, ხელმძღვანელობდა ორგვარი მოსაზრებით: ერთის მხრივ ეს იქნებოდა შემოსავლის წყარო და მეორეს მხრივ ამ საშვალეებით შეიძლებოდა აღვირ-ახსნილ სპეკულაციასთან ბრძოლა. გამგეობას თავიდანვე გათვალისწინებული ქონდა, რომ ნიხრის დაწესებით, სავალდებულო დადგენილებების გამოცემით, ფასების ხელოვნურ გადიდებასთან ბრძოლა ძნელი იყო. ერთად ერთი საშვალეობა სპეკულაციასთან საბრძოლველად აღიარებული იყო საკუთარი სავაჭროების დაარსება და ამ სავაჭროების უზრუნველყოფა საკმაო საქონლით. ამ საქმის პირნათლად შესასრულებლად საჭირო იყო დიდი თანხა. გამგეობამ საქმე დაიწყო ძლიერ მცირედი თანხით იმ იმედით, რომ შემდეგში შესაძლებელი იქნებოდა სესხის აღება“.

1918 წელს გამგეობამ საყასბო და სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირებისთვის პირველად ცალ-ცალკე 10 000 მანეთი გამოყო.

⁵⁵ კ. კანდელაკი „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 178.

⁵⁶ სცსა, ფონდი 1863, აღწ.1, საქმე 543, ფ. 1.

„1919 წლის იანვარში გახსნილი იქნა ქალაქის აფთიაქი, რომლის საბრუნავი თანხაც გადადებულ იქნა 20,000 მანეთი“. მართალია, ამ სამივე დაწესებულებამ 1919 წლის განმავლობაში დიდი მოგება არ მოუტანა სამტრედიას, მაგრამ საგრძნობი დახმარება გაუწია მოსახლეობას იაფი და ხარისხიანი საქონლის შესაძენად ნორმალურ ფასად.

„1920 წელს ფულის კურსის დაცემის გამო სავაჭრო ოპერაციების წარმოება ძლიერ შეფერხდა, რადგანაც ის თანხა, რომელიც ჩვენს განკარგულებაში არის, სრულიად საკმარისი არ გამოდგმა თუნდაც იმოდენა საქონლის შესაძენად, რომელიც გვქონდა 1919 წლის განმავლობაში. საქონლის ფასები მეტად გაიზარდა. 1919 წ. ოქტომბერში მარილი ღირდა ფუთი 40 მან, დღეს მარილი ფასობს 500-600 მან.; საპონი ფუთი 1,000 მანეთი, დღეს - 10,000; შეშა - სამი ათასი, დღეს - 20-25 ათასი. ამნაირად საქონლის ფასები გაიზარდა ათჯერ-ოცჯერ. ასეთივეა ხორცისა და მედიკამენტების ფასების ზრდა. თუ 1919 წლის ოქტომბერში ხორცი ღირდა 9 მანეთი, დღეს მისი ფასი 45 მანეთია. ასეთია მდგომარეობა ბაზრისა. ჩვენ სავაჭრო დაწესებულებებს კი აქვს თანხა მეტად მცირე: მაღაზიას ნახევარი მილიონი მანეთი, საყასბოს 200,000 მან., აფთიაქს 200,000 მანეთი. ამ თანხით განა შეიძლება იმ მიზნის განხორციელება, როგორც დასახული აქვს ქალაქის სავაჭრო დაწესებულებებს?...“ დოკუმენტში შემდეგ წერია, რომ ასეთი მცირე დაფინანსებით არათუ სარგებლობის, არამედ ზიანის მოტანა უფრო შეეძლო ამ სამთავრობო სავაჭრო დაწესებულებებს, რადგან ისინი კერძო მოვაჭრეებს ვერ უწევდნენ კონკურენციას, ხოლო სპეკულანტთა მადა უფრო იზრდებოდა და „თავხედი ხდებოდა“.

განმარტებით ბარათში გამგეობა წერდა, ყველა ამ სავაჭრო დაწესებულებას თავისი დანიშნულება პირნათლად რომ შეესრულებინა, სავაჭროდ მეტი საბრუნავი თანხის გაღება იყო საჭირო:

„მაღაზიას, რომელიც აწვდის ყოველგვარ საბაკალეინო საქონელს, მანუფაქტურას, სურსათს და რომელთანაც დაკავშირებულია თივის და შეშის საწყობი, დასჭირდება 6 მილიონამდე. ამ თანხით ცოტათი შეიძლება წესიერად დაყენება ამ სავაჭროსი. თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდელ საზღაპრო ფასებს, დავრწმუნდებით, რომ ეს თანხა შედარებით ცოტა არის. ვაგონი მარილი 600,000 მანეთი, ნავთი 180,000 მან. თივა ვაგონი 40, 000 მან. ღირს, ქალაქის მაღაზიას კი აქვს დაახლოებით ნახევარი მილიონი საკუთარი თანხა, რაც საკმარისიც არ არის ერთი ვაგონი მარილის შესაძენად“.

დოკუმენტის მე-16 ფურცლიდან ვკითხულობთ:

„საყასბოს აქვს 200,000 მან. შეიძლება მხოლოდ სამი დღის საკმარისი საკლავი საქონლის შეძენა. იმისათვის რომ ფასების ზრდა შეჩერებულ იქნას, საჭიროა შეძენა არანაკლებ თხუთმეტი დღის საკმაო საქონელი(სანოქლენი?), დღეში შეიძლება გაიყიდოს 50 ფუთი ხორცი, თხუთმეტი დღეში - 760 ფუთი, თუ ფუთს ვიანგარიშებთ 2,000 მანეთად, დაგვსჭირდება მილიონ ნახევარი. ამ გაანგარიშებით საჭიროა ერთი მილიონი მანეთი კიდევ დაემატოს საყასბოს საბრუნავ თანხას.

აფთიაქიც ამავე მდგომარეობაშია. ამასაც მუდამ საქონლის ნაკლებობა აქვს უფულობის გამო, წამლების ფასი ბაზარზე ხომ საოცრად იზრდება. აქ არსებობს მთავრობის ნიხრი, რომელსაც ვერ არღვევს ქალაქის აფთიაქი, კერძო მეპატრონე კი თამამამდ ახერხებს ამ ნიხრის გვერდის ავლას, ქალაქის აფთიაქი კონკურენციას ვერ უწევს მედიკამენტების უქონლობის გამო. ქალაქის აფთიაქს აქვს დღეს ორასი ათასზე ცოტა მეტი თანხა. ამ თანხით საკმაო წამლების შეძენა შეუძლებელია, ამიტომ არის რომ მომხმარებელს ხშირად უარით ისტუმრებენ. დღევანდელ ბაზრის პირობებთან შედარებით აფთიაქს უნდა მიეცეს კიდევ დაახლოებით ერთი მილიონი საბრუნავი თანხა...“

გარდა ამისა, დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ გამგეობა ფიქრობდა ფურნის გახსნას: „დღეს ქალაქში 8 კერძო ფურნე არსებობს, რომლებიც ამზადებენ დაახლოებით 200 ფუთამდე მჭადსა და პურს, ამ რაოდენობის საქონლის მიწოდება და ამით მომარაგება მოსახლეობის გამგეობასაც თამამად შეუძლია და რაც მთავარია, მისაღებ, დღევანდელთან არსებული ფასების მაგიერ ნახევარ

ფასებში, რაც დიდი შეღავათი იქნება მოსახლეობისათვის ამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში“.

ამავე დოკუმენტში ეწერა, რომ საჭირო იყო ფურნეებისთვის დიდი რაოდენობის სიმინდის ფქვილით მომარაგება, რაც ასევე დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. „თუ ვერ მოხდება დიდი პარტიით მიწოდება შესაბამისი საქონლის და ყოველდღე დასჭირდებათ მათ პურის გამოსაცხობად ფქვილის ყიდვა, მაშინ გამგეობაც იძულებული გახდება იყიდოს მჭადი და პური ისე როგორც კერძო ფურნეებშია, რაც ვერ უზრუნველყოფს სპეკულაციასთან ბრძოლას და ფასების დარეგულირებას“.

დოკუმენტის ბოლოს საგანგებოდ იყო აღნიშნული წიგნის მაღაზიის გახსნის აუცილებლობაც:

„ეს მაღაზია უმთავრესად ემსახურება მოზარდ თაობას, თუ ამ მაღაზიის სათანადო მოწყობა მოახერხა გამგეობამ, მას ექნება უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ამ დაწესებულების საშველებით მოზარდი თაობა უფრო კარგად გაეცნობა საზოგადოებრივ დაწესებულებების სარგებლობას. წიგნის მაღაზიას დასჭირდება ერთი მილიონი მანეთი მაინც, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დღეს რვეული ღირს 25 მანეთი თითო ცალი, წიგნი არა ნაკლებ ას ორმოცდაათ - ორას მანეთისა, კალმისტარები 50 მანეთი და სხვა. ყველა ეს საქონელი უნდა იქნეს შეძენილი ათასობით“. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში აღნიშნული იყო, რომ გაცემული 10 მილიონი მანეთი, რა თქმა უნდა, სრულად ვერ დააკმაყოფილებდა არსებულ გამოწვევებს, თუმცა მეტ-ნაკლებად მისცემდა საშუალებას გამგეობის მაღაზიებსა და დაწესებულებებს ეფუნქციონირათ მეტ-ნაკლებად ნაყოფიერად. ასევე აღნიშნული იყო, რომ 10 მილიონი გრძელვადიანი სესხი გამგეობას მხოლოდ სახელმწიფოსგან შეეძლო მიეღო, რადგან: „კერძო პირები და ბანკები მეტად მტრულად უარყოფენ ყოველგვარ საქმიანობას ქალაქისას“⁵⁷.

ფულთა ახალ-ახალი ნაკადის ემისიას მისი დაბალხარისხობრივი ქალაქით ბეჭდვაც განაპირობებდა. ამიერკავკასიის, ისევე როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის, ფულები უბრალო ქალაქებზე იყო დაბეჭდილი, რომელიც, გარდა დაბალი ხარისხისა, უდამცავნიშნო-უჭვირნიშნოც იყო, რაც ქალაქის ადვილად ცვეთასა და მის გაყალბებასაც უწყობდა ხელს:

„როგორც ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკამ დაამტკიცა ქალაქის ფულის ნიშნების 30% აღებ-მიცემობაში იცვითება და იკარგება, მით უმეტეს ეს მოსალოდნელია ჩვენში, სადაც ბეჭდვის ტექნიკა და თვით ქალაქის ღირსება დაბალ დონეზე სდგას“⁵⁸, - აღნიშნავდა კონსტანტინე კანდელაკი.

გამონაკლისი იყო 5,000 ნომინალის ბონთა გარკვეული ნაწილი, რომელიც საქართველოს მთავრობამ 1920 წელს იტალიიდან შემოტანილი ფილიგრანული-ჭვირნიშნიანი ქალაქით დაბეჭდა და გაუშვა სამომხმარებლო მიმოქცევაში. ეს ქალაქის ფული მეტი გამძლეობითა და კარგი ხარისხით გამოირჩეოდა. ბანკნოტებზე არსებული სპეციალური დამცავი ნიშნები, ჭვირნიშნები, კი მის გაყალბებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა უცხო ხელისთვის.

სახელმწიფო ხედავდა უცხოურ მხარეებთან თანამშრომლობისა და ინვესტიციების მოზიდვის სასიცოცხლო აუცილებლობას არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე.

1919-1920 წლებში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გააგზავნა საკუთარი ფინანსური აგენტები, რათა შეეგროვებინათ ცნობები იქაური ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, დაემყარებინათ კავშირი უცხოურ საკრედიტო დაწესებულებებთან და მოეზიდათ უცხოური ინვესტიციები. გაგზავნილი დიპლომატიური

⁵⁷ სცსა. ფონდი 1891. აღწ.1 საქმე 116 ფ. 15-16

⁵⁸ სცსა. ფონდი 1836. აღწ. 1 საქმე 309 ფ.1

კორპუსისა და ფინანსური აგენტების წყალობით საქართველომ კონტაქტი დაამყარა სხვადასხვა სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებასთან, მათ შორის ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბანკთან (British Bank of Foreign Trade, Ltd), რომლისგანაც საქართველოს მთავრობას სესხის სახით უნდა გამოეთხოვა 1 მილიონ 500 ათასი გირვანქა სტერლინგი⁵⁹.

საკმაოდ ნაყოფიერად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები იტალიურ მხარესთან. 1920 წელს საქართველოში გაიხსნა პირველი და ერთადერთი უცხოური იტალო-კავკასიის ბანკი.

მოხდა იტალიელ მეწარმეთა დაინტერესება აფხაზეთის რეგიონით:

1921 წელს აფხაზეთში ტყვარჩელის ქვანახშირზე კონცესია დამფუძნებელმა კრებამ 45 წლის ვადით გასცა იტალიურ კომპანიაზე. არსებული პროექტი სასარგებლო იყო ორივე მხარისთვის, იტალიისთვის, როგორც გეოგრაფიულად სათბობ-ენერგეტიკული რესურსის გარეშე მყოფი ქვეყნისთვის, რომელიც აღარ იქნებოდა დამოკიდებული ქვანახშირის შექმნაზე, არამედ თავად შექმნებოდა მისი ექსპლუატაცია; რაც შეეხება საქართველოს, იგი მიიღებდა ფინანსურ მოგებას ქვანახშირის კონცესიის გაცემით უცხოურ კომპანიაზე, მოახდენდა უცხო ინვესტიორების მოზიდვას. გარდა ამისა, პროექტის პირობებში მითითებული იყო, რომ იტალია ვალდებული იქნებოდა საკუთარი ხარჯით გაეყვანა რკინიგზა ტყვარჩელში, რითაც ისარგებლებდა ადგილობრივი მოსახლეობაც. გაძლიერდებოდა და მომაგრდებოდა შავი ზღვის პორტები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით⁶⁰.

1919-1921 წლებში მსგავსი სახის სხვადასხვა ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს მთავრობასა და უცხოურ მხარეთა შორის, თუმცა მათი განხორციელება მოახლოებული ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის გამო არ მომხდარა. საქართველომ - ვერც სესხის აღება და ვერც იტალიისთვის ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლუატაციაში გადაცემა მოახერხა.

ქვეყანაში გამეფებული მწვავე ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, 1918-1921 წლებში, საქართველოში გაიხსნა:

1. ევროპა-კავკასიის ბანკი ძირითადი თანხით 6 მლნ. მანეთი (1918 წ.);
2. იტალო-კავკასიის ბანკი ძირითადი კაპიტალით 40 მლნ. იტალიური ლირა (1919 წ.);
3. საქართველოს კოოპერატიული ბანკი ძირითადი თანხით 14 მლნ. 600 ათასი მანეთი (1920 წ.);
4. ფოთის ქართული ბანკი ძირითადი თანხით 7 მლნ. 100 ათასი მანეთი (1920 წ.);
5. ჭიათურის ბანკი ძირითადი თანხით 360 ათასი მანეთი (1920 წ.)⁶¹.

როგორც სტატისტიკიდან ჩანს, 1919-1920 წლებში, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, მაინც ხდებოდა უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვა, საკრედიტო ოპერაციების მოწყობა და ახალი საბანკო დაწესებულებების დაარსება, რაც ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესების პერსპექტივას სახავდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1920 წელს ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ცენტრალურმა ბანკმა, რომელიც თავისი უფლება-მოვალეობით თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკის წინამორბედი იყო.

როგორც ითქვა, ქართული დიპლომატიური კორპუსის უცხოეთში გამგზავრებამ ყველაზე ნაყოფიერი შედეგი გამოიღო იტალიურ მხარესთან. გარდა ინვესტიციათა მოზიდვის მცდელობისა და იტალიური ბანკის ფილიალის საქართველოში გახსნისა, მოეწერა ხელი ორმხრივ შეთანხმებას,

⁵⁹ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 188.

⁶⁰ გაზეთი „გვარდიელი“, # 05, 1921 წ., გვ. 6.

⁶¹ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 127.

ფილიგრანულ-ჭვირნიშნიანი, კარგი ხარისხის ქაღალდის საქართველოსთვის მიწოდებასაც, რომელზეც უნდა დაბეჭდილიყო მომავალი ქართული ბონი.

1919 წლის 13 დეკემბრის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის, კონსტანტინე კანდელაკის, მოხსენებაში ვკითხულობთ:

„სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციას მალე გამოეღვევა ქაღალდი... თუ ახლავე არ მივიღეთ სათანადო ზომები და არ დავამზადებთ მასალა, დავრჩებით ფულის ნიშნებს მოკლებული... საჭირო რაოდენობა სპეციალური ქაღალდისა სამი მილიარდი მანეთის დასამზადებლად უდრის 590.000 ფურცელს, ღირებულება კი 1 მილიონ 200 ათას იტალიურ ლირას... ჩვენს ბონზედ ეს ჯამი შეადგენს 24 მილიონს დღევანდელი კურსით“⁶².

იტალიიდან საქართველოში ფულისთვის ფილიგრანული საბეჭდი ქაღალდის ჩამოტანას ნიკოლოზ ჯაყელი კურირებდა. გაფორმდა ხელშეკრულება იტალიის სააქციო საზოგადოება „არისტიდ სტადერინის“ პიეტრო მილანის ფაბრიკასთან საქართველოს რესპუბლიკისთვის სპეციალური საბეჭდი ქაღალდის მიწოდების შესახებ. იტალიიდან საქართველოში ფილიგრანული ქაღალდი 1920 წლის სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში პარტიებად შემოვიდა⁶³.

იტალიიდან საქართველოში შემოსული ფილიგრანული ქაღალდის ფულის დამცავი ნიშნები, ჭვირნიშნები, ვიზუალურად ოთხთაღოვან ჩარჩოში ჩასმული ქართული ასოებია: „სდრ“-ის მხატვრული კომბინაცია (ასოთა წყობა „სდრ“ იშიფრება, როგორც: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“):



64

1920 წლიდან ქართული ბონის კურსი სწრაფად იწყებს დაცემას. თუკი 1919 წლის დეკემბრისთვის საქართველოს ბონის თანაფარდობა 1 ოქროს მანეთთან იყო - 103:1, 1920 წლის ბოლოს თანაფარდობამ 1300:1-თან შეადგინა⁶⁵.

ქართული მანეთის გაუფასურება რიგ ობიექტურ მიზეზებთან იყო დაკავშირებული:

1. 1920 წელს მოხდა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პარტნიორების, მეზობელი რესპუბლიკების - აზერბაიჯანისა და სომხეთის - გასაბჭოება ბოლშევიკური რუსეთის მიერ, რის გამოც ამ რესპუბლიკებთან საქართველოს ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობები შეწყდა;
2. 1920 წელს აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების პარალელურად საქართველოს დაზვერვას ხელთ ჩაუვარდა წითელი არმიის გეგმა, რომლის მიხედვითაც რუსეთი საქართველოზე თავდასხმას 1920 წელსვე აპირებდა. ამის გამო ქვეყნის მასშტაბით

⁶² სცსა, ფონდი 1861, აღწ.1, საქმე 274, ფ. 4.

⁶³ სცსა, ფონდი 1891, აღწ.4, საქმე 43, ფ. 51.

სცსა, ფონდი 1891, აღწ. 4, საქმე 80, ფ. 2.

⁶⁴ იტალიაში გამოშვებული ფილიგრანული ქაღალდის, ჭვირნიშნის, მოზაიკა აბრევიატურით „სდრ“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა).

⁶⁵ თამარ ათანელიშვილი, „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, გვ. 113.


გამოცხადდა საომარი მდგომარეობა და ფართომასშტაბიანი სამხედრო მობილიზაცია, რამაც უზარმაზარი ხარჯების გამოყოფა განაპირობა;

3. 1920 წელს ბათუმის ოლქი ბრიტანეთმა საქართველოს მთავრობას გადააბარა. ამ ქმედებით საქართველოს საფინანსო არხებიდან მთლიანად მოხდა ბრიტანული ფუნტი სტერლინგის გადინება. გარდა ამისა, ბათუმის ოლქის საქართველოსთვის გადაცემამ უზარმაზარი ადმინისტრაციული ხარჯების გაღება მოითხოვა ქვეყნის ბიუჯეტიდან, რათა ამოქმედებულიყო და დაარსებულიყო ქართული სამთავრობო-ადმინისტრაციული დაწესებულებები.

1920 წლის 13 ოქტომბერს თბილისში გამართულ საგანგებო ეკონომიკურ თათბირზე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ საგანგებოდ აღნიშნა ქვეყნის ეკონომიკური რეალობა: „ჩვენ ვამბობდით, - აცხადებდა ნ. ჟორდანია, - რომ ეკონომიკური მხრივ კატასტროფისკენ მივისწრაფით. ბევრს არ სჯეროდა ამ აღიარებისა და ეგონა, რომ ჩვენ მხოლოდ ვაშინებდით და ეს სიტყვა უკვე გამართლებულია: დღეს თვითეული ჩვენთაგანი გრძნობს, თვითეული მწვავედ განიცდის, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისაკენ, - ჩვენ უკვე მივედით იქამდე“⁶⁶.

მოგვიანებით, 1921 წლისთვის, ქართული ბონის კურსი კიდევ უფრო დაეცემა, რის ძირითადი მიზეზიც უზარმაზარი სამხედრო ხარჯების გაღება და რუსეთ-საქართველოს ომის დაწყება იყო.

ინფლაცია



⁶⁶ ნ. ჯავახიშვილი, „ქართული ბონისტიკა“, გვ. 64.

საქართველოს რესპუბლიკის მიერ 1919-1920 წლებში გამოშვებული ბონის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

1. 1-ლი ემისიის დროს გამოიცა 300 მლნ. მანეთის ოდენობის ქართული ბონი;
2. მე-2 ემისიის დროს - ასევე 300 მლნ. მანეთის ოდენობის ბონი;
3. მე-3 ემისიისას - 800 მლნ. მანეთის ოდენობის ბონი;
4. მე-4 ემისიისას - 7 მილიარდი მანეთის ოდენობის ბონი⁶⁷.

ბონის სწავი გაუფასურების პარალელურად საჭირო გახდა უფრო მსხვილი ნომინალის ფულადი ერთეულების გამოშვება, რადგან არსებული წვრილი ნომინალური ღირებულების ქართული მანეთები ვეღარ აკმაყოფილებდა სამომხმარებლო მოთხოვნას.

ფულის ნიშნების დამზადების გაიაფებისა და რაოდენობრივად შემცირების, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში ფულის ნიშნების გადატან-გადმოტანის გამარტივებისთვის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა, კონსტანტინე კანდელაკმა, შეიტანა ინიციატივა დამფუძნებელი კრებაში 5 000 და 10 000 ნომინალის ბონის კუპიურების გამოცემის შესახებ.

1921 წლის 1 თებერვლის პარლამენტის სხდომაზე დადგინდა 5 000 და 10 000 ნომინალის ბონების გამოცემა. 1921 წლის 8 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ ოფიციალურად ძალაში მიიღო „საქართველოს ბონის 5 000 და 10 000-მანეთიანი კუპიურის გამოცემის“ დეკრეტი⁶⁸.

საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ახალი ნომინალის ბონების გამოცემასთან დაკავშირებით უმარტავდა:

„იმ გარემოებამ, რომ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა აუარებელ ხარჯებს მოითხოვს, რომ ცხოვრება ძლიერ გამვირდა, რომ ყოველგვან ცოტა-თუ ბევრათ თვალსაჩინო რაოდენობის საქონლის შესაძენათ კერძო ხელშეკრულობებშიც საჭიროა ძალიან დიდი თანხები, გამოიწვია ფულის ნიშნების საშინელი კრიზისი.

ხალხი, განსაკუთებით ომის დროიდან, დაშინებულია ბანკების სახელდახელო ანგარიშით სარგებლობით, თუმცა საჩევო ოპერაციები ჩვენში არც წინათ ყოფილა მაინცა და მაინც პოპულიარული, ამიტომ ფულის ნიშნების შეცვლა ჩვეების ოპერაციებით ვერ ხერხდება საგრძნობ მასშტაბით.

დღეს, როცა კერძო აღებ-მიცემაც და სახაზინო ხარჯებიც სწარმოებს არა ასეულ და ათასეულ მანეთებით, არამედ მილიონობით და ეს მილიონები საჭიროა ნაღდი ფულით, საჭირო შეიქმნა დიდ-ძალი ფულის ერთეულების ბეჭდვა, რადგან უმაღლესი კუპიურა 1 000 მანეთს არ აღემატება.

ეს გარემოება კი იწვევს მრავალგვარ უხერხულობას. დამზადება მილიარდებისა წვრილ-კუპიურებით მთავრობას ძლიერ ძვირათ უჯდება, ტეხნიკა, რომელიც წინათ არსებულ მოთხოვნილებასაც ძლივს აკმაყოფილებდა, ვეღარ ასწრებს დღევანდელ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რის გამოც ვერც ის კანონები, რომელიც საკანონმდებლო წესით არის მოწონებული, ვერ სრულდება. მრავალ ადგილას პროვინციებში ხაზინა უფულოთ რჩება კვირების და თვეების განმავლობაში, ვერც ბანკებს ვუსწრებთ საკმარისი ფულის ნიშნების მიწოდებას და სხვა. წვრილ-კუპიურებით გადატანა დიდი თანხების ძლიერ უხერხული შეიქმნა,

⁶⁷ სცსა, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 648, ფ. 2.

⁶⁸ სცსა, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 1202, ფ. 3.

თავი რომ გავანებოთ დიდ ტრანზაქციებს, კერძო პირებიც კი ჩვეულებრივი ხარჯებისათვის იძულებული არიან აუარებელი ნიშნები ატარონ ჯიბით“⁶⁹.

სწორედ 5 000 ნომინალის ბონები იბეჭდებოდა იტლიიდან შემოტანილ მაღალხარისხიან, ჭვირნიშნიან ქაღალდზე.

5000 ნომინალის ბონი ვიზუალურად უნიკალურია და განსხვავებული სხვა წინამორბედი ქაღალდის ნიშნებისგან. მასზე, გარდა ზოგადი ნაციონალური სიმბოლიკისა და ორნამენტებისა, რაც გვხვდება სხვა წინამორბედ, დაბალი ნომინალის ბონებზე, ბანკნოტის ცენტრში გამოსახულია საქართველოს დამფუძნებელი კრების შენობა, რომლის თავზეც 3-ფეროვანი საქართველოს დროშაა აღმართული. გარდა ჭვირნიშნიანი 5 000 ნომინალის ბონისა, ვხვდებით ჩვეულებრივ უბრალო ქაღალდზე დაბეჭდილ დაბალხარისხიან ანალოგიურ ბანკნოტებსაც.

რაც შეეხება 10 000 ნომინალის ბონს, მისი პრაქტიკული რეალიზება საქართველოს მთავრობამ 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ ვეღარ განახორციელა. საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა ხელისუფლებამ 10 000 ნომინალის ბონი მოგვიანებით, 1922 წელს, გამოუშვა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა საქართველოს დროს გამოშვებული 10 000 მანეთის ნომინალის ბონი ვიზუალურად თითქმის არაფრით განსხვავდება საქართველოს რესპუბლიკის 5000 ნომინალის ბონისგან. ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია: საქართველოს რესპუბლიკის ბონისგან განსხვავებით საბჭოურ 10 000 ნომინალის კუპიურის ავერსზე გამოსახული მთავრობის სასახლის თავზე აღმართული 3-ფეროვანი დროშა შეცვლილია საბჭოთა დროშით, ხოლო რვერსზე აღბეჭდილ შვიდექიმიან ვარსკვლავში ჩახატული ეროვნული გერბის მაგივრად, ხუთექიმიან ვარსკვლავში ჩახატულ საქართველოს საბჭოთა გერბს ვხვდებით⁷⁰.

საქართველოს მთავრობის მიერ ბონის მეოთხე ემისიის შედეგად 7 მილიარდი მანეთის ნომინალის ქაღალდის ფული დაიბეჭდა. ამ თანხის მარაგი მალევე, გამოშვებიდან 6 თვეში, ამოიწურა, რაც ზოგადად არსებული ხარჯების გარდა, ბოლო დროს მომხდარი მასშტაბური მობილიზაციის შედეგი იყო, რადგან: „ექვს თვეში ემისია არ ამოიწურებოდა, რომ იმის საგრძნობელ ნაწილით არ დაფარულიყო ხარჯები გამოწვეული უკანასკნელი მობილიზაციით“⁷¹, სწერდა საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო.

შექმნილი ვითარების ფონზე მთავრობა იძულებული გახდა გამოეშვა ფულის ახალი პარტია. 1920 წლის 31 დეკემბერს დამტკიცდა ახალი დეკრეტი 10 მილიარდი ბონის გამოცემის შესახებ. ეს ემისია უნდა ყოფილიყო საბოლოო, რომლის შემდეგაც ქვეყანა ეროვნულ ვალუტაზე გადავიდოდა.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას „მარჩილი“ უნდა რქმეოდა, რომელიც ძველად საქართველოში ვერცხლის ფულის აღსანიშნავად გამოიყენებოდა და ღირებულებით 3 აბაზის ტოლფასი იყო⁷².

მიუხედავად საქართველოში არსებული მწვავე ეკონომიკური კრიზისისა, 1920 წლისთვის საქართველოს მთავრობამ გადადგა არაერთი ნაბიჯი არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად:

1. მოწესრიგდა და გაუმჯობესდა საბაჟო და საგადასახადო სისტემა ქვეყნის მასშტაბით;

⁶⁹ სცსა, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 1404, ფ. 14.

⁷⁰ საქართველოს გერბის გარშემო შვიდექიმიან ვარსკვლავს შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა. იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა, რადგან 1918-1921 წლებში საქართველოს პირველი რესპუბლიკა 7 ადმინისტრაციულ ერთეულად იყო დაყოფილი, ვარსკვლავის თითოეული ქიმი თითო ადმინისტრაციულ ერთეულს აღნიშნავდა. უნდა ითქვას ისიც, რომ 7-ქიმიან ვარსკვლავში ჩახატულ საქართველოს პირველი რესპუბლიკის გერბს 1920 წლიდან ვხვდებით. 1918-1919 წლებში საქართველოს გერბი ვარსკვლავის გარეშე გამოისახებოდა.

⁷¹ სცსა, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 648, ფ. 2.

⁷² <http://ena.ge/explanatory-online>

2. 1920 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო სახელმწიფო ბანკმა, რომელიც აღიჭურვა ფულის საემისიო უფლებითა და საკრედიტო-საბანკო დაწესებულებების ზედამხედველობით. სახელმწიფო ბანკი უნდა ყოფილიყო მთავარი სახელმწიფო უწყება ფულის კურსის განმტკიცებისა და მისი სტაბილიზაციისთვის. სამწუხაროდ, სახელმწიფო ბანკმა სულ რამდენიმე თვე იფუნქციონირა და მისი მუშაობა საქართველოს 1921 წლის ოკუპაციასთან ერთად შეწყდა;
3. 1920 წლისთვის საქართველო დე იურედ აღიარა ისეთმა პოლიტიკურად მნიშვნელოვანმა სახელმწიფოებმა, როგორებიც იყო: თურქეთი და რუსეთი.
1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი პუნქტით, საბჭოთა რუსეთი საქართველოს სრულფასოვან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, დე იურედ, აღიარებდა. მართალია, რამდენიმე თვეში ეს დოკუმენტი საბჭოთა რუსეთის მთავრობამ დაარღვია და მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, მაგრამ 1920 წლისთვის ამ დოკუმენტს უზარმაზარი როლი ეკისრებოდა ქვეყნის მომავალი ეკონომიკის განვითარებაში (აღორძინებაში). სწორედ მეზობელ თურქეთისა და რუსეთის რესპუბლიკათა მიერ საქართველოს დე იურედ ცნობა ნიშნავდა ახალი ინვესტიციებისა და უცხოური კაპიტალის უფრო ადვილად მოზიდვას, რადგან უცხოელ მეწარმეთათვის (ბიზნესმენტათვის) თავიანთი თანხების საქართველოში ჩადების შემდეგ მათი დაკარგვის ნაკლები რისკი არსებობდა. 1921 წლის თებერვლისთვის კი საქართველო დე იურედ აღიარა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ავსტრიისა და რუმინეთის სახელმწიფოებმა;
4. მიუხედავად რიგი ეკონომიკური პრობლემებისა, საბანკო საქმე ქვეყანაში განვითარების გზას ადგა, რაზეც მეტყველებს კერძო საკრედიტო-საბანკო დაწესებულებების რიცხოვნობივად არათუ შემცირება, არამედ, პირიქით, ზრდა, მათ შორის ერთ-ერთი ბანკი უცხოური, იტალიური, იყო;
5. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მთავრობამ ფულადი სახსრების სამოხილიზაციოდ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბადოების დიდი ნაწილის ნაციონალიზაცია გამოაცხადა, ხოლო მარგანეცის, აბრეშუმისა და მატყლის ექსპორტი - სახელმწიფო მონოპოლიად. საქართველოდან უცხოეთში გადიოდა სხვადასხვა სახის ნაწარმი, მაგალითად, მხოლოდ 1920 წელს ქვეყნიდან საზღვარგარეთ 10,7 მლნ. ფუთი (სტანდარტული გაანგარიშებით - 175 266 მილიონი კილოგრამი) მანგანუმი გავიდა საექსპორტოდ⁷³. სახელმწიფო მონოპოლიას დაექვემდებარა სათამაშო ქაღალდების (ლატარის) გამოშვებაც, რაც ბიუჯეტში ფულადი სახსრების მოსაზიდად ასევე კარგი საშუალება იყო;
6. აქტიური რეფორმა გატარდა ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის მხრივ, რომლის მთავარი საყრდენი საეროხო თვითმმართველობის ორგანოები იყო. ქვეყნის ეკონომიკის გასაუმჯობესებლად დიდი შრომა გაწია საეროხო თვითმმართველობებმა. ეს დაწესებულებები ზრუნავდნენ სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაზე, მონაწილეობდნენ მოსახლეობის სურსათით, სამეურნეო და პირველადი საჭიროების ნივთებით მომარაგებაში.
1921 წლის მდგომარეობით, შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაზრაში ერობის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

⁷³ ალექსანდრე ბენდიანიშვილი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)“, თბილისი, 2001 წ., გვ. 222.

სენაკის მაზრის ერობას მოწყობილი ჰქონდა: საქსოვი ქარხანა; აგურის და კრამიტის ქარხანა; ელექტრონის სადგური; ელექტრონის წისქვილი; მექანიკური სახელოსნო; სადურგლო; 6 აფთიაქი.

ზუგდიდის მაზრას: სახერხი ქარხანა; ხის გადამამუშავებელი ქარხანა; სამეურნეო იარაღთა სახელოსნო.

ოზურგეთის მაზრას: სახერხი ქარხანა, აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა, ბამბუკის ქარხანა, წისქვილი, ფურნე, 4 წიგნის მაღაზია, სადურგლო და სამჭედლო, 5 აფთიაქი, 4 სასურსათო მაღაზია⁷⁴;

7. ქვეყნის მასშტაბით გატარდა აგრარული რეფორმა, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა მიწათმფლობელობის უმაღლესი ნორმა - 7, 15, 40 ჰექტრის მოცულობით⁷⁵. ჩატარდა მსხვილი კერძო მამულების კონფისკაცია, თუმცა ხელისუფლებას კერძო ქონებისა და მეურნეობის სრული მონოპოლიზება არ მოუხდენია, საკმაოდ ბევრი კაპიტალისტური მეურნეობა ხელუხლებელი დარჩა, მეპატრონეებს ჩამოერთვათ მხოლოდ დადგენილ რაოდენობაზე მეტი მიწის ნაკვეთები. ამგვარად: 1919 წელს გატარებული აგრარული რეფორმა ბურჟუაზიული და იმავდროულად დემოკრატიულიც იყო⁷⁶. მთავრობამ მეტ-ნაკლებად მოახერხა მიწის რაციონალურად გადანაწილება საზოგადოებაში;
8. ხელისუფლებამ გაატარა სიღრმისეული რეფორმები სამართალწარმოების სფეროში: 1919 წელს მთავრობამ შემოიღო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი⁷⁷, მოგვიანებით კი შეიქმნა უზენაესი საკასაციო და კანონდამცველი დაწესებულება - სენატი;
9. სახელმწიფომ დააარსა ცენტრალური სტატისტიკური სამსახური, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით სოციალურ-ეკონომიკურ ინფორმაციათა შეკრება, აღწერა და ანალიზი ევალებოდა.
10. 1920 წლისთვის დამთავრდა ძირითადი მონახაზი საქართველოს მომავალი კონსტიტუციისა, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. საქართველოს პირველ კონსტიტუციაში ცალკე თავად განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური ასპექტები. მასში შეტანილი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, კონსტიტუციის შექმნამდეც, ცალკეულად გამოცემულ კანონებში იყო უკვე განსაზღვრული და ცხოვრებაშიც გატარებული, თუმცა ქვეყნის უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით - კონსტიტუციით - მის ხელმეორედ აღიარებასა და დამტკიცებას მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-პოლიტიკური როლი ჰქონდა რესპუბლიკისთვის.

ყოველივე აქედან გამომდინარე არ უნდა ყოფილიყო გასაკვირი სახელმწიფოს მუშაობა ეროვნული ვალუტის - მარჩილის - გამოშვების კუთხით, რადგან მას ახლო მომავალში უნდა ჩაენაცვლებინა საქართველოს დროებითი ნიშნების - ბონების - ემისია.

1920 წლის ივნისში მთავრობის დავალებით მხატვარმა ევგენი ლანსერემ 25 მარჩილის ღირებულების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი შეასრულა⁷⁸.

⁷⁴ ირაკლი ხვადაგიანი, „ერობა – თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში 1918“, ტომი I, გვ. 228.

⁷⁵ ალექსანდრე ბენდიანიშვილი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)“, გვ. 119.

⁷⁶ ალექსანდრე ბენდიანიშვილი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)“, გვ. 123.


⁷⁷ საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, გვ. 38.

⁷⁸ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=426>

საქართველოს ოკუპაციისა და დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად შეჩერდა პირველი ქართული ეროვნული ვალუტის - მარჩილის - გამოსაცემად დაწყებული მოსამზადებელი პროცესიც. 25 მარჩილის ღირებულების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი მომავალი და პრაქტიკულად განუხორციელებელი პირველი ქართული სავალუტო პროექტის ერთადერთი ნიმუშია.

1920 წლის 31 დეკემბერს 10 მილიარდი მანეთის ნომინალის ბონის გამოსაცემად დამტიკცებული დეკრეტის საფუძველზე მეხუთე ემისიით მთავრობამ 8 მილიარდ 576 მილიონი მანეთის გამოშვება მოასწრო⁷⁹. ბონის ემისია 1921 წლის 25 თებერვალს, ბოლშევიკური არმიის მიერ თბილისის დაკავების შემდეგ, აღარ მომხდარა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაბეჭდილ ბონთა რაოდენობა 1919-1921 წლებში (მილიონებში)



თბილისის დაცემის შემდეგ საქართველოს მთავრობა ქუთაისში გადავიდა. 1921 წლის მარტის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ ქუთაისში დაბეჭდა და გამოუშვა 50 000 და 100 000 ბონის ნომინალის დროებითი ფულადი ჩეკები. სავარაუდოდ ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება მთავრობამ სწორედ მე-5 ემისიის საფუძველზე მოახდინა, რომლის მიხედვითაც მას დასაბეჭდად კიდევ 1 მილიარდ 424 მილიონი მანეთის ნომინალის ბონის უფლება ჰქონდა. ეს ფასიანი ჩეკები დაიბეჭდა იტალიიდან ჩამოტანილ ფილიგრანულ ქაღალდზე. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას მალე ქუთაისის დატოვება და ბათუმამდე უკანდახევა მოუხდა, ხოლო შემდეგ, 1921 წლის 17 მარტს, ემიგრაციაში წასვლა⁸⁰.

⁷⁹ თ. ათანელიშვილი, „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, გვ. 109.


⁸⁰ დათვლილია მეასედებამდე სიზუსტით მოყვანილ ინფორმაციებზე დაყრდნობით, თ. ათანელიშვილის „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, გვ. 109-110.

ქუთაისის ხაზინის მიერ გამოცემული ფასიანი ქაღალდები მიმოქცევაში არასდროს გასულა, იგი შეუვსებელი და გამოუყენებელი დარჩა.

კვლევის დასასრულს, აღსანიშნავია საქართველოს ბონის კურსის 1921 წლის გასაბჭოების შემდგომი ისტორია. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს ინფლაციამ პიკს 1921 წლის თებერვალში მიაღწია, რასაც, როგორც ითქვა, თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა.

1921 წლის თებერვალში ქართული ბონის თანაფარდობამ 1 ოქროს მანეთთან 2000 ბონი შეადგინა, მაშინ როდესაც გასაბჭოებიდან ორ თვეში ბონის გაუფასურების შედეგად თანაფარდობა 1:7700-მდე გაიზარდა, 1921 წლის აგვისტოში - 1:50500, ხოლო დეკემბერში 1:57500 ბონს მიაღწია⁸¹. საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან რამდენიმე თვეში ქართული ბონი 28,75-ჯერ გაუფასურდა.

ინფლაცია




საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ თავისი არსებობის განმავლობაში ბონის ყველაზე დიდი ემისია 1921 წლის მე-5 ემისიის საფუძველზე განახორციელა.

ყველაზე დიდი რაოდენობით გამოშვებულმა თანხამ ერთ თვეში, 1921 წლის თებერვლისთვის, თუკი უხეზად, მეათედებამდე სიზუსტით ვიანგარიშებთ, 7.3 მილიარდი ბონი შეადგინა, მაშინ როდესაც 1921 წლის ივნისში საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ დაბეჭდა 16 მილიარდი ბონი, სექტემბერში - 23, ხოლო დეკემბერში - 29 მილიარდი⁸².

⁸¹ თ. ათანელიშვილი, „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, გვ. 113.

⁸² თ. ათანელიშვილი, „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, გვ. 113.



(დიაგრამაში კორ-რაა, ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვაში) საქართველოს რესპუბლიკის ბონზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს ის პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო, რა დროსაც მოუხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ქვეყნის აღშენებლობა. 4-წლიანმა სისხლისმღვრელმა მსოფლიო ომმა მრავალი სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემა მთლიანად მოშალა და გაანადგურა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ახლად გადატანილი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მოუხდა, როდესაც მთლიანად მოშლილი იყო სავაჭრო-ფინანსური ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან და მსოფლიოს მასშტაბით ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა.

არსებულ რთულ ეკონომიკურ-სოციალურ ვითარებას ემატებოდა საქართველოს გარშემო მტრულად განწყობილ ქვეყანათა ფაქტორიც, რის გამოც რესპუბლიკა თავის 3 წლამდე არსებობის პერიოდში მუდმივად საომარ ვითარებაში იმყოფებოდა. მუდმივ მობილიზაციასა და ქვეყნის თავდაცვისთვის თანხების გამოყოფას ლომის წილი ედო ქვეყნის ეკონომიკისა და ვალუტის კურსის დეგრადაციაში.

მიუხედავად არსებული სიტუაციისა, საქართველოს მთავრობამ მოახერხა სერიოზული პრობლემების მოსაგვარებლად არაერთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა: გაატარა მრავალი ფინანსურ-ეკონომიკური რეფორმა და შემოიღო მოდერნიზირებული, ადმინისტრაციული მოწყობის შტატები სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებაში. საქართველო, კერძოდ კი თბილისი, 1918-1921 წლებში წამყვანი ფინანსური ბირთვი იყო ამიერკავკასიის რეგიონში. სწორედ თბილისში იბეჭდებოდა ამიერკავკასიის ბონი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება უნაწილებდა მეზობელ სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს. ამიერკავკასიის ბონი რუსეთის საკრედიტო ბილეთების პარიტეტული იყო, რის გამოც მას თავისუფლად შეეძლო მიმოქცევა ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში. ამიერკავკასიის ბონი მთლიანად კავკასიის რეგიონის მასშტაბით ყველაზე მყარ ვალუტას წარმოადგენდა.

1919 წელს საქართველოს მთავრობამ გამოუშვა საკუთარი დროებითი ფულადი ნიშანი - ბონი, რომელიც რუსეთის საკრედიტო ბილეთებისა და ამიერკავკასიის ბონის პარიტეტული იყო ასევე. ქართული ბონი თავისუფლად მიმოიქცეოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში. ეს ფუნქცია ქართულ ბონს, მიუხედავად საომარი ვითარებისა, არასდროს დაუკარგავს, 1919-1921 წლებში იგი მუდმივად პირველობას ინარჩუნებდა კავკასიის რეგიონში, რაც საქართველოს

პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და საფინანსო უწყებების ნაყოფიერ და პროფესიულ მუშაობაზე მეტყველებდა.

საქართველოში, მართალია, იყო ინფლაცია, მაგრამ არც ისე დიდი, როგორც სხვა მეზობელი სახელმწიფოები განიცდიდნენ.

1918-1921 წლებში, ჯამში, საქართველოს მთავრობამ 18 მილიარდ 940 მილიონი მანეთი დაბეჭდა, მაშინ როდესაც პოლონეთში, რომელსაც ბევრად ხელსაყრელი პოლიტიკური ადგილმდებარეობა ჰქონდა ევროპულ სახელმწიფოებთან კავშირისა და თანამშრომლობის მხრივ, 1924 წლის დამდეგისთვის კოლოსალური თანხის ქაღალდის ფული - 596 244 206 000 000 (თითქმის 600 ტრილიონი) - პოლონური მარკა დაბეჭდა⁸³.

თუკი პირველი რესპუბლიკის ყველაზე რთულ ფინანსურ პერიოდს გადავხედავთ, ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალი ინფლაციის დროს დაბეჭდილი ბონის რაოდენობა 7888 მანეთს არ აღემატებოდა, როდესაც 1924 წლის დასაწყისისთვის პოლონეთში ეს მონაცემი 22 მილიონ მარკას უტოლდებოდა⁸⁴. პოლონეთისთვის ევროპის ფულადი დახმარების მიუხედავად, ეს სახელმწიფო ვერ გადაურჩა ჰიპერინფლაციას, მაშინ, როცა საქართველოს 1918-1921 წლებში არასდროს მიუღია სერიოზული ფინანსური დახმარება ევროპის ქვეყნებისგან.

პოლონეთის მსგავს სიტუაციაში იყო ავსტრია. ავსტრიაში, რომელიც 1919-1922 წლებში პერმანენტულად იღებდა დახმარებას დიდი ბრიტანეთისგან და რომელსაც, ჯამში, სესხის სახით 75 მლნ. ფუნტი სტერლინგი გადაეცა, 1923 წლის აგვისტოში დაბეჭდილი ფულის რაოდენობამ 5.667.000.000.000 კრონს მიაღწია; იმ დროს რეალურად ავსტრიის ქაღალდის ფულის ღირებულება 387 ათას ოქროს კრონს არ აღემატებოდა⁸⁵.

ჰიპერინფლაცია მძვინვარებდა გერმანიაში და მოგვიანებით შექმნილ ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაშიც, სადაც დაბეჭდილი ქაღალდის ფულის რაოდენობა ათობით ტრილიონს აღწევდა.

რაც შეეხება ეროვნულ ვალუტას, საქართველომ ეროვნული ვალუტის გამოსაცემად მზადება 1920 წლიდან დაიწყო, იყო იმის მოლოდინი, რომ უახლოეს მომავალში დროებითი ფულადი ნიშანი - ბონი - ეროვნული ვალუტა მარჩილით ჩანაცვლდებოდა, რაც საქართველოს გასაბჭოებამ შეაჩერა.

1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მსგავსად რუსეთში რევოლუციის შედეგად წარმოქმნილ სხვა ევროპულ სახელმწიფოებს - ესტონეთს, ლიტვას, ლატვიასა და პოლონეთს - არ ჰქონდა საკუთარი ეროვნული ვალუტა. ამ სახელმწიფოებიდან 1922 წელს ეროვნული ვალუტა შემოიღო ლიტვამ და ლატვიამ, ხოლო 1924 წელს - პოლონეთმა და ესტონეთმა. მანამდე საქართველოს რესპუბლიკის მსგავსად აღნიშნულ რესპუბლიკებშიც დროებითი ფულადი ნიშნები მიმოიქცეოდა.

როცა ვსაუბრობთ საქართველოს ბონზე, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ 1923 წლის 10 იანვარს საბჭოთა ხელისუფლების რეფორმის შედეგად საბჭოთა საქართველოს ერთი ბონი ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ერთ ბონს გაუთანაბრდა, ხოლო საბჭოთა აზერბაიჯანის ბონის თანაფარდობა (მომავალ) ამიერკავკასიის საბჭოთა ბონთან განისაზღვრა, როგორც 100:1-თან, საბჭოთა სომხეთის ბონის კი - 150:1-თან⁸⁶. ეს ნიშნავდა, რომ, მიუხედავად საქართველოს ოკუპაციისა და ამის შედეგად გამოწვეული ფინანსურ-ეკონომიკური

⁸³ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 73

⁸⁴ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ.74

⁸⁵ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ.74

⁸⁶ კ. კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე გვ. 78

კრიზისებისა, საქართველოს ბონმა არ დაკარგა პირველობა კავკასიის რეგიონში და ოფიციალურად 1923 წლისთვის აზერბაიჯანის ბონზე - 100-ჯერ, ხოლო სომხეთისაზე 150-ჯერ მყარი ფულადი ნიშანი იყო.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური საკითხები დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო.

ამ კანონთა კრებულში ცალკე თავებად იქნა გამოყოფილი: სახელმწიფო ფინანსები (მე-7 თავი) და მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები (მე-13 თავი).

მე-7 თავი შედგება 7 მუხლისგან, ხოლო მე-13 თავი - 16 მუხლისგან. კონსტიტუციის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც საერთაშორისო თვალსაზრისით, ასევე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კუთხით. მე-7 და მე-13 თავებით კიდევ ერთხელ განმტკიცდა და იურიდიული ძალა მიეცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს. ამ საკანონმდებლო მუხლების გაცნობა საშუალებას გვაძლევს გადავხედოთ მიღებულ კონსტიტუციას და გავაანალიზოთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა:

თავი VII

სახელმწიფო ფინანსები

მუხლი 84

„არც ერთი სახელმწიფო გადასახადი არ შეიძლება დაწესებულ ან აკრეფილ იქნეს, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული. შენიშვნა: ადგილობრივი თვითმმართველობის გადასახადთა დაწესების უფლებას ცალკე კანონი განსაზღვრავს.“

მუხლი 85

სახელმწიფო გადასახადისგან ვერავინ განთავისუფლდება, თუ არ კანონის ძალით.

მუხლი 86

თუ არ კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

მუხლი 87

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესხი და ან რაიმე ფინანსური ვალდებულება.

მუხლი 88

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მუხლი 89

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაჰფაროს პარლამენტის ნებართვით.

მუხლი 90.

ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

თავი XIII

სოციალ-ეკონომიკური უფლებანი

მუხლი 113

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 114

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვა გვარად არ არის განსაზღვრული.

მუხლი 115

რესპუბლიკას აქვს საკუთარი სააღებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია. რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოებას და გაძლიერებას. რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მუხლი 116

წვრილი მწარმოებლის – სოფლის მეურნის, ხელოსანის, შინამრეწველის – შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება; მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მუხლი 117

შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა.

მუხლი 118

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ თვითმმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა, საშვამავლო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს შოვნაში. ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 119

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მუხლი 120

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

მუხლი 121

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მუხლი 122

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა, ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლად რესპუბლიკის შემოსავლიდან უნდა გადაიდოს ყოველ წლიურად განსაზღვრული ნაწილი.

მუხლი 123

ნორმალური სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი. სასოფლო მეურნეობისა და სხვა სასეზონო წარმოებაში სამუშაო დროის შეფარდება განსაკუთრებულ პირობებთან განისაზღვრება კანონით.

მუხლი 124

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია: 16–18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 125

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალური პირობანი წარმოებაში. არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოკიდებული უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

მუხლი 126

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში: მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად. დამქირავებელს ევალება მუშემწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მუხლი 127

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 128

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა“.

ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციაში მე-7 და მე-13 თავებში წარმოდგენილი მუხლების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეკონომიკურ-სოციალური პოლიტიკა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამტკიცდა და განისაზღვრა სახელმწიფო ფინანსების მართვა-განკარგვა; განისაზღვრა მოქალაქის სამუშაო დრო, უმუშევრობასთან ბრძოლის მთავრობისეული ხედვა და სამოქმედო გეგმები. ცალკე მუხლებად აღიწერა 16 წლის ზემოთ არასრულწლოვან პირთა სამუშაო გრაფიკი, დეკრეტული შვებულება და მისი გამოყენების პირობები.

კონსტიტუციის მე-13 თავი: „სოციალ-ეკონომიკური უფლებანი“ იწყება შემდეგი წინადადებით: „რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის“, რაც სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი კრედაა. მნიშვნელოვანია 115-ე, 116-ე, 117-ე და 118-ე მუხლები, რომლებიც ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ სისტემას ეხება. მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებაში - ქვეყნის მეურნეობის მოწყობა და სათანადო დონეზე გამართვა - ჩართული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი თვითმმართველობები და ერობები:

„რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება“- მუხლი 116-ე

„რესპუბლიკას აქვს საკუთარი სააღებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია. რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოებას და გაძლიერებას“- მუხლი 115-ე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განისაზღვრა ადგილობრივ თვითმმართველობათა უფლება-მოვალეობები, რომლებსაც, ქვეყნის მეურნეობის განვითარების გარდა, შრომის ბირჟისა და საშუამავლო კანტორის დაარსებაც ევალებოდა, რასაც მოჰყვებოდა უმუშევრად დარჩენილ მოსახლეთა აღნუსხვა და მათი დასაქმება. ადგილობრივ თვითმმართველობებს სახელმწიფოსთან ერთად ევალებოდა რესპუბლიკაში მცხოვრებ ბავშვებზე მზრუნველობა.

ბოლოთქმა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე (უდავოდ) შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

1. საქართველოს რესპუბლიკა საკუთარ დამოუკიდებლობას მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში შეხვდა;
2. საქართველოს რესპუბლიკას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური დანატოვარი დახვდა რუსეთის იმპერიისგან: მოშლილი საგადასახადო და საბაჟო სისტემა, პროდუქციის სიმწირე და ნაკლებობა, ეკონომიკური და საქმიანი ურთიერთობების მოშლა სხვა სახელმწიფოებთან და მუდმივ საომარ ვითარებაში ყოფნა;
3. საქართველოს ხაზინა დამოუკიდებლობის გამოცხადებას სრულიად ცარიელი, ოქროს მარაგის გარეშე შეხვდა, რამაც გამოიწვია ეროვნული ვალუტის გამოშვების შეფერხება და დროებით ფულად ნიშნებზე - ბონებზე - გადასვლა;
4. საწყის ეტაპზე არა პირდაპირ დამოუკიდებლობის გამოცხადება, არამედ ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, ხოლო მისი დაშლის შემდეგ მაინც ამიერკავკასიის ბონის ემისია(რება) დამატებით ერთი წლის ვადით - 1919 წლამდე - იწვევდა დავასა და კრიტიკას მთავრობის ოპონენტებისგან, თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მთავრობის პოლიტიკა - ამიერკავკასიის ბონის ემისიის გახანგრძლივება და ნელ-ნელა სათანადო ფინანსური ნიადაგის მომზადება საკუთარი ფულადი ნიშნების ემისიისთვის - იყო პრაგმატული და სწორი არჩევანი ქვეყანაში არსებულ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე;
5. მთავრობამ 1918-1921 წლებში აქტიურად დაიწყო რიგი ნაბიჯების გადადგმა არსებული მწვავე ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემების აღმოსაფხვრელად, რომელთა ნაწილიც გამოასწორა, ნაწილი კი პირველი რესპუბლიკის მთავრობას არსებული ობიექტური მიზეზებისა და 1921 წლის საქართველოს ოკუპაციის შედეგად აღარ დასცალდა;
6. მთავრობამ მოახერხა ფრონტიდან მოხსნილი რუსული არმიებისა და ცარისტული რეჟიმის უწყებების ლიკვიდაცია და მათთვის შესაბამისი ფინანსური დახმარების გაწევა;
7. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მთავრობამ ფულადი სახსრების სამობილიზაციოდ მოახდინა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბადოების დიდი ნაწილის ნაციონალიზაცია, ხოლო შემდგომ წარმოებული პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა;
8. საქართველოს მთავრობამ, მიუხედავად ქვეყანაში არსებული რიგი პრობლემებისა, მოახერხა საქმიანი და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა ევროპულ სახელმწიფოებთან;
9. მოხერხდა აგრარული რეფორმის გატარება;
10. სიღრმისეული ცვილილებები და რეფორმები გატარდა ქვეყნის ადმინისტრაციულ დაწესებულებებთანა დაკავშირების სფეროში;
11. მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საქართველოში საბანკო და სააღმშენებლო საქმიანობა განვითარების გზას დაადგა, რაზეც მეტყველებდა 1918-1921 წლებში

- ადგილობრივი და უცხოური საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების გახსნა, ასევე 1920 წლის ივლისიდან საქართველოში ცენტრალური ბანკის ფუნქციონირების დაწყება;
12. ამიერკავკასიის ბონი იყო რუსეთის საკრედიტო ბილეთების პარიტეტული და თავისუფლად შეეძლო მიმოქცევაში ყოფნა მთლიანად ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, რაც სწორი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს;
 13. საქართველოს დროებითი ფულადი ნიშანები, ბონები, იყო ასევე რუსეთის საკრედიტო ბილეთების და ამიერკავკასიის ბონის პარიტეტული. ქართულ ბონს თავისუფლად შეეძლო მიმოქცევა ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში. ეს უფლება (და „ტიტული“) ქართულ ბონს, მიუხედავად მწვავე სოციალურ-ეკონომიკური და საომარი ვითარებისა, არასდროს დაუკარგავს. 1919-1921 წლებში იგი მუდმივად ინარჩუნებდა პირველობას კავკასიის რეგიონში, რაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და საფინანსო უწყებების ნაყოფიერ და პროფესიულ მუშაობაზე მეტყველებდა;
 14. მიუხედავად საქართველოს გასაბჭოებისა და ქართული ბონის უზარმაზარი ტემპით გაუფასურებისა, მან კვლავ შეინარჩუნა პირველობა კავკასიის რეგიონში და 1923 წლისთვის აზერბაიჯანულ ბონზე - 100-ჯერ, ხოლო სომხეთისაზე 150-ჯერ მყარი ფულადი ნიშანი იყო;
 15. იურიდიულად, კონსტიტუციის საფუძველზე, განისაზღვრა ქვეყნის მთავარი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადო ასპექტები.

აღნიშნული კვლევის დროს შესწავლილ იქნა ქართული ფულადი ნიშნების ემისიის ეტაპები, აღიწერა საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უფლება-მოვალეობები და მისი საშტატო მოწყობა, მსგავსად სახელმწიფო ქაღალდების საბეჭდი ექსპედიციისა და საქართველოს რესპუბლიკის ხაზინებისა.

იმისათვის რომ კვლევა ყოფილიყო თვალსაჩინო და (მრავალფეროვანი) უფრო საინტერესო, კვლევის ბოლოს წარმოვადგინეთ შესაბამისი დანართები, რომლებიც მრავალფეროვნებას სძენს ამ ნაშრომს. დანართები მოიცავს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა შტატისა და სახელმწიფო ქაღალდების საბეჭდი ექსპედიციის შტატის დეტალურ აღწერას. გარდა შტატების აღწერისა, დანართებში ვიზუალურად აღბეჭდილია საქართველოს რესპუბლიკის ბონები და ფასიანი ქაღალდები.

დანართები:

დანართი 1

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა შტატი⁸⁷

N	თანამდებობები და განყოფილებები	მოხელეთა რაოდენობა
1	მინისტრი	1
2	მინისტრის ამხანაგი	2
3	კანცელარიის დირექტორი	1
4	ვიცე-დირექტორი	2
5	მინისტრის მდივანი	1
	საბიუჯეტო და სახაზინო განყოფილება:	
6	განყოფილების უფროსი	1
7	მცირე განყოფილებათა გამგე	2
8	ბუღალტერი	2
9	ბუღალტრის უფროსი თანაშემწე	7
10	ბუღალტრის უმცროსი თანაშემწე	3
11	მანქანით გადამწერი	2
12	რეგისტრატორი	2
	გადასახადების განყოფილება:	
13	განყოფილების უფროსი	1
14	გამგე მცირე განყოფილებისა	2
15	გამგის თანაშემწე	3
16	მოანგარიშე	2
17	მანქანით გადამწერი	2

⁸⁷ როგორც პირველი, ისე მეორე დანართი შესრულებულია სცსა, ფონდი 1891, აღწ. 1, საქმე 96-ის მიხედვით.

18	რეგისტრატორი	2
	საკრედიტო განყოფილება:	
19	განყოფილების უფროსი	1
20	მცირე განყოფილებათა გამგე	2
21	საქმის მწარმოებელი	3
22	რეგისტრატორი	1
23	მანქანით გადამწერი	1
	საერთო განყოფილება:	
24	განყოფილების უფროსი	1
25	მისი თანაშემწე	1
26	საქმისმწარმოებელი	1
27	მისი თანაშემწე	1
28	რეგისტრატორი	2
29	მანქანით გადამწერი	2
	სავაჭრო სამრეწველო განყოფილება:	
30	განყოფილების უფროსი	1
31	მცირე განყოფილებების გამგე	3
32	საგანგებო ინჟინერი	2
33	საქმისმწარმოებელი	2
34	თანაშემწე	4
35	გამგე სტატისტიკის	1
36	მისი თანაშემწე	1
37	მანქანით გადამწერი	2
38	რეგისტრატორი	3
	საერთო რეგისტრატურა:	
39	ექსპედიტორი	1
40	მისი თანაშემწე	6
41	კანცელარიის ქონების გამგე	1
42	მისი თანაშემწე	1
43	შიკრიკი	10

დანართი 2

სახელმწიფო ქალაქების მბეჭდავი ექსპედიციის შტატი

N	თანამდებობები და განყოფილებები	მოხელეთა რაოდენობა
1	ექსპედიციის გამგე	1
2	უფროსი თანაშემწე	1
3	უმცროსი თანაშემწე	2
4	ბუღალტერი	1
5	ბუღალტრის თანაშემწე	1
	საკონტროლო კომისია:	
6	უფროსი ზედამხედველი	1
7	ზედამხედველი	21
	სამხატვრო ნაწილი:	
8	გრაფიურისტი 1-ლი	1
9	გრაფიურისტი მე-2	1
	ქალაქების დაჭრა და დათვლა:	
10	გამნაწილებელი	1
11	დამჭრელი	1
12	დამჭრელის თანაშემწე	1
13	ფურცლების დამთვლელი	4
14	დამთვლელი სახელმწიფო ბანკიდან	4
15	კასირი სახელმწიფო ბანკიდან	1
	ლითოგრაფია:	
16	ლითოგრაფიის გამგე	1
17	მისი თანაშემწე	1
18	უფროსი ხელოსანი	1
19	დაზგაზე მბეჭდავი	3

20	ხელქვეითი	4
21	გრავიურისტი 1-ლი კატეგორიის	2
22	გრავიურისტი მე-2 კატეგორიის	1
23	გრავიურისტი მე-3 კატეგორიის	1
	მანქანით მბეჭდავი:	
24	1-ლი კატეგორიის	4
25	მე-2 კატეგორიის	1
26	მე-3 კატეგორიის	1
27	დამწყობი 1-ლი კატეგორიის	5
28	დამწყობი მე-2 კატეგორიის	1
29	მჩარხავი	2
30	სამხატვრო წამლების მლესავი	1
31	ქალაქების მოანგარიშე	1
32	მოლარე-მეკუჭნავე	1
33	მისი თანაშემწე	4
34	მეტაბელე	1
35	მუშა	10
36	მომუშავე 1-ლი კატეგორიის	1
37	მომუშავე მე-2 კატეგორიის	5
38	მომუშავე მე-3 კატეგორიის	1
39	კასირი	1
40	მისი თანაშემწე	1
41	მსახური	2
42	მეკარე	2
	დარაჯები:	
43	ოფიცერი	1
44	ჯარისკაცი	12

დანართი 3

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 5000 მანეთის ნომინალის ბონი (დაბეჭდილი ფილიგრანულ ქალაქდზე)



ბანკნოტის წინა მხარე




ბანკნოტის უკანა მხარე⁸⁸

⁸⁸ ამ ბანკნოტის უკანა მხარე საყურადღებოა საქართველოს ოკუპაციის შემდგომ, 1921 წლის 14 დეკემბერს, დატანილი მინაწერით: „გივის სახსოვრათ თავის მამასაგან, 1921 წლის 14 დეკემბერი“. მამა საკუთარ შვილს სახსოვრად უტოვებს 5000 მანეთის ნომინალის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონს.


დანართი 4

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკლევადიანი 500 მანეთის ღირებულების სახაზინო ვალდებულება

წინა მხარე



უკანა მხარე




დანართი 5

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცემული 50000 მანეთის ნომინალის ფასიანი ქაღალდი, დაბეჭდილი 1921 წლის მარტის დასაწყისში

წინა მხარე



უკანა მხარე



დანართი 6

25 მარხილის ნომინალის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი, შესრულებული 1920 წელს




დანართი 7

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1922 წელს გამოცემული 10000 მანეთის ნომინალის ბონი

წინა მხარე



უკანა მხარე



გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის მასალები:

1. ფონდი 1833, (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ფონდი) აღწერა 1, საქმეები:
538,
571,
572,
609,
648,
1202,
1404.
2. ფონდი 1836 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ფონდი) აღწერა 1, საქმეები:
309,
344.
3. ფონდი 1861 (მთავრობის საქმეთა მმართველობის ფონდი), აღწერა 1, საქმე 274.
4. ფონდი 1863 (შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდი) აღწერა 1, საქმე 543.
5. ფონდი 1891 (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის ფონდი) აღწერა 1, საქმეები:
14,
30,
96,
116.
6. ფონდი 1891, აღწერა 4, საქმეები: 43, 80.

ლიტერატურა

1. კონსტანტინე კანდელაკი, „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, პარიზი, 1960 წ.
2. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)“, თბილისი, 2001 წ.
3. ირაკლი ხვადაგიანი, „ეროზა – თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში 1918“, ტომი I, თბილისი, 2017 წ.
4. ნიკო ჯავახიშვილი, „ქართული ბონისტოკა“, თბილისი, 1996 წ.
5. თამარ ათანელიშვილი, „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, თბილისი, 2006 წ.
6. საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიული ანგარიშები, თბილისი, 1920 წ.

7. საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, თბილისი, 2015 წ.
8. გიორგი მაზნიაშვილი, „მოგონებანი“, თბილისი, 2014 წ.

ჟურნალ-გაზეთები:

1. „საქართველოს რესპუბლიკა“, #286, 1920 წ.
2. „გვარდიელი“, #05, 1921 წ.

ონლაინ რესურსები:

1. <http://www.nplg.gov.ge>
2. <https://www.nbg.gov.ge>

შინაარსი

წინათქმა.....	1
შესავალი.....	2
ფინანსთა სამინისტრო და მისი საშტატო მოწყობა.....	6
ამიერკავკასიის ბონის ემისიის საკითხი 1918-1919 წწ.	10
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918 წლის მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებები.....	17
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონის ემისიის საკითხი და ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა 1918-1921 წწ.	20
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური საკითხები დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში.....	45
ბოლოთქმა.....	50
დანართები.....	52
გამოყენებული ლიტერატურა.....	62